# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 28 ივლისი 2001 №141 (1414) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი შვებულებიდან გამოვიდა



ბადრი კოთიაშვილის ფოტო

ფიცხელ საფეხბურთო ეპიზოდს ჩვენშიც ნახავთ, ოღონდ იშვიათად...

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

## 1 ტური

28 ივლისი, შაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | ლოკომოტივი |
| კოლხეთი | სამგურალი |
| გურია | მერანი |
| დინამო | სიონი |
| გორდა | ვიტ ჯორჯია |
| ბათუმი | მეტალურგი |



–გერმანიაში კი თავგამოდებული ბრძოლა ლამის ყოველწამიერია

# ჩვენ და გერმანია ერთად ვიწყებთ

საქართველოს მეცამეტე ჩემპიონატის კალენდარი, რეგლამენტი, მწვრთნელთა მოსაზრებები და პირველი ტურის ანონსი იხილეთ მე-2, მე-3, მე-4 გვერდებზე.
39-ე ბუნდესლიგის კალენდარი, ყველა გუნდის განაცხადი და ქართველ ბუნდესლიგელთა ამბები იხილეთ მე-7, მე-8, მე-9, მე-10 გვერდებზე.

# კაცია ზვიადაური!

## 20 წლისა და დიდ ტურნირებს ჯერაც უჩვევი ახმეტელი ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია!



„სარბიელის“
საგანგებო კორესპონდენტის
ემზარ ზენაიშვილის
რეპორტაჟი მიუნხენიდან
იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე




გეყოთ წაჭექ-უკუჭექობანა, გაიმართეთ წელში

# თორმეტგუნდას აფიშაც უნდა

**არცთუ** სასიამოვნო არდადეგების შემდეგ ფეხბურთი ბრუნდება საქართველოში. დღეს რიგით მეცამეტე ჩემპიონატი იწყება. თავისთავად ცამეტი თარსი რიცხვიაო, ამბობენ, თუმც ქართულ ფეხბურთს მთლად უსიამონოდ არა აქვს დაცლილი და იქნებ ამიერიდან ეშველოს შინაურ ბურთაობას, მაგრამ...

სეზონი იწყება იგივე სისტემით, ჩატარდება ორ ეტაპად, გაყოფილი ექვსეულები, განახევრებული ქულები და ძალისძალად მოთრეული დაძაბულობა. ჩემპიონატის სტრუქტურა თითქმის არც ერთ მწვრთნელს არ მოსწონს, მაგრამ ფედერაცია ამჟამინდელ პროექტს თვლის ალმავლობის გარანტად.

ჩემპიონატი რომ იწყება, ამას მხოლოდ ფედერაციაში იგრძნობთ, თორემ ქალაქში აფიშას ვერ მოჰკრავთ თვალს. დედაქალაქში მხოლოდ ერთი მატჩია. ისიც ბოლო კვირაში გაირკვა, თორემ ბოლნისში, „თემურ სტეფანიაზე" სარეკონსტრუქციო სამუშაოები დროულად რომ დასრულებულიყო, შაბათს თბილისი უფეხბურთოდ იქნებოდა.

ევროსარბიელს ჯერჯერობით სამი ქართული გუნდი შემორჩენია. მართალია, სამიდან ერთი გავარდნის პირასაა, მაგრამ იმედი ჯერაც არის.

სამი გუნდი იყო სეზონისწინა უცხოურ შეკრებაზე — „ლოკომოტივი", „დინამო" და „კოლხეთი". ორი კვირა დაჰყო ავსტრიასა და საფრანგეთში „ვიტ ჯორჯიამ" და ინტერტოტოს გათამაშებას დამშვიდობებულმა უცხოური შეკრებისგან თავი შეიკავა. დრო არ ეყოთ ვეტერინარებს, თორემ უცხოურ გარემოს ვიტელებიც კარგად ეგუებიან.

დანარჩენები საქართველოში იწვრთნებოდნენ. ზოგი უკეთესად, ზოგიც... მწვრთნელ-სპეციალისტთა ნაწილს ჰგონია, რომ მეცამეტე გათამაშებიდან ალმავლობა დაიწყება. ზოგი ამბობს, დონე იგივე დარჩებაო. ჩემი აზრით კი, მეცამეტე ჩემპიონატი აქამდე ჩატარებულთაგან ყველაზე უსახური იქნება. შეიძლება ვცდები, მაგრამ ირგვლივ ატეხილი ქაოსი მსგავსი დასკვნის გამოტანის საბაბს იძლევა.

ჩვენ მაინც იმედით მივდივართ სტადიონებზე, კიდევ ერთხელ ვებლაუჭებით ხავსს და ძალიან არ გვინდა, კვლავაც მოტყუებულები დავრჩეთ. მაგრამ დღეს საქართველოში მწვრთნელს მწვრთნელობა უჭირს, ფეხბურთელს ბურთის გორება. მსაჯ-დელეგატი დაუცველია და ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებაში ჩემპიონატის დაწყების წინდღით ბუზიც არ ჩავარდებაო, რომ ამბობენ, ისეა. ამის შემდეგ ვითომ მართებული იქნება წინსვლა-ალმავლობაზე ლაპარაკი?! რა ვიცი, ფედერაცია კი გვპირდება და...

**გამუკა ძგანტალიანი**

საქართველოს უმაღლესი ლიგა
13 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

## 1 ტური
ანონსი

ქუთაისი. ტორპედო. 28 ივლისი. 21 საათი

### ტორპედო — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. შალამბერიძე (თბილისი); ა. ორდინაძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ფოთი. ფაზისი. 28 ივლისი. 19 საათი

### კოლხეთი — სამგურალი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 28 ივლისი. 19 საათი

### გურია — მერანი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. ეროვნული. 28 ივლისი. 20 საათი

### დინამო — სიონი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაღალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

რუსთავი. ფოლადი. 28 ივლისი. 19 საათი

### გორდა — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი; ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ბათუმი. დინამო. 28 ივლისი. 19 საათი

### ბათუმი — მეტალურგი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიაშვილი (სამივე ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
I ტური
ფიურტი 2:2 ოზერბაუზენი
დუისბურგი 1:4 ალენი
ზაარბრიუკენი 1:3 ვალდჰოფი

### საფრანგეთი
პირველი დივიზიონი
I ტური
ბორდო 2:0 ნანტი

### პოლონეთი
II ტური
ლეგია 1:2 ამიცა

### შვეიცარია
A ჯგუფი
V ტური
ლუცერნი 0:4 იანგ ბოისი

### რუსეთი
XIX ტური
სპარტაკი 5:1 როსტსელმაში

საქართველოს უმაღლესი ლიგა
13 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

## კალენდარი

## პირველი წრე

### პირველი ტური
28 ივლისი, შაბათი
ტორპედო — ლოკომოტივი
კოლხეთი — სამგურალი
გურია — მერანი
დინამო — სიონი
გორდა — ვიტ ჯორჯია
ბათუმი — მეტალურგი

### მეორე ტური
4 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი — მეტალურგი
დინამო — გორდა
სამგურალი — გურია
5 აგვისტო, კვირა
ტორპედო — კოლხეთი
მერანი — სიონი
ვიტ ჯორჯია — ბათუმი

### მესამე ტური
12 აგვისტო, კვირა
კოლხეთი — ლოკომოტივი
გურია — ტორპედო
სიონი — სამგურალი
გორდა — მერანი
ბათუმი — დინამო
მეტალურგი — ვიტ ჯორჯია

### მეოთხე ტური
18 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
დინამო — მეტალურგი
სამგურალი — გორდა
ტორპედო — სიონი
კოლხეთი — გურია
19 აგვისტო, კვირა
მერანი — ბათუმი

### მეხუთე ტური
26 აგვისტო, კვირა
სიონი — კოლხეთი
გორდა — ტორპედო
ბათუმი — სამგურალი
მეტალურგი — მერანი
27 აგვისტო, ორშაბათი
გურია — ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია — დინამო

### მეექვსე ტური
8 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — დინამო
სამგურალი — მეტალურგი
ტორპედო — ბათუმი
კოლხეთი — გორდა
გურია — სიონი
9 სექტემბერი, კვირა
მერანი — ვიტ ჯორჯია

### მეშვიდე ტური
16 სექტემბერი, კვირა
გორდა — გურია
ბათუმი — კოლხეთი
ვიტ ჯორჯია — სამგურალი
მეტალურგი — ტორპედო
17 სექტემბერი, ორშაბათი
სიონი — ლოკომოტივი
დინამო — მერანი

### მერვე ტური
22 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — მერანი
სამგურალი — დინამო
გურია — ბათუმი
23 სექტემბერი, კვირა
ტორპედო — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი — მეტალურგი
სიონი — გორდა

### მეცხრე ტური
30 სექტემბერი, კვირა
მერანი — სამგურალი
ბათუმი — სიონი
მეტალურგი — გურია
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი
1 ოქტომბერი, ორშაბათი
გორდა — ლოკომოტივი
დინამო — ტორპედო

### მეათე ტური
9 ოქტომბერი, სამშაბათი
ლოკომოტივი — სამგურალი
ტორპედო — მერანი
კოლხეთი — დინამო
გურია — ვიტ ჯორჯია
სიონი — მეტალურგი
გორდა — ბათუმი

### მეთერთმეტე ტური
13 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი — ლოკომოტივი
მეტალურგი — გორდა
ვიტ ჯორჯია — სიონი
დინამო — გურია
მერანი — კოლხეთი
სამგურალი — ტორპედო

## მეორე წრე

### მეთორმეტე ტური
20 ოქტომბერი, შაბათი
მერანი — გურია
დინამო — სიონი
21 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი — ტორპედო
სამგურალი — კოლხეთი
ვიტ ჯორჯია — გორდა
მეტალურგი — ბათუმი

### მეცამეტე ტური
27 ოქტომბერი, შაბათი
მეტალურგი — ლოკომოტივი
ბათუმი — ვიტ ჯორჯია
გორდა — დინამო
სიონი — მერანი
გურია — სამგურალი
კოლხეთი — ტორპედო

### მეთოთხმეტე ტური
4 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი — კოლხეთი
ტორპედო — გურია
სამგურალი — სიონი
მერანი — გორდა
ვიტ ჯორჯია — მეტალურგი
5 ნოემბერი, ორშაბათი
დინამო — ბათუმი

### მეთხუთმეტე ტური
9 ნოემბერი, პარასკევი
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი
მეტალურგი — დინამო
ბათუმი — მერანი
გორდა — სამგურალი
სიონი — ტორპედო
გურია — კოლხეთი

### მეთექვსმეტე ტური
17 ნოემბერი, შაბათი
დინამო — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი — სიონი
ტორპედო — გორდა
სამგურალი — ბათუმი
მერანი — მეტალურგი
18 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი — გურია

### მეჩვიდმეტე ტური
24 ნოემბერი, შაბათი
დინამო — ლოკომოტივი
მეტალურგი — სამგურალი
ბათუმი — ტორპედო
გორდა — კოლხეთი
სიონი — გურია
25 ნოემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია — მერანი

### მეთვრამეტე ტური
29 ნოემბერი, ხუთშაბათი
გურია — გორდა
კოლხეთი — ბათუმი
ტორპედო — მეტალურგი
სამგურალი — ვიტ ჯორჯია
მერანი — დინამო
30 ნოემბერი, პარასკევი
ლოკომოტივი — სიონი

### მეცხრამეტე ტური
2 მარტი, შაბათი
მერანი — ლოკომოტივი
დინამო — სამგურალი
ვიტ ჯორჯია — ტორპედო
მეტალურგი — კოლხეთი
ბათუმი — გურია
გორდა — სიონი

### მეოცე ტური
10 მარტი, კვირა
ლოკომოტივი — გორდა
სიონი — ბათუმი
გურია — მეტალურგი
კოლხეთი — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — დინამო
სამგურალი — მერანი

### ოცდამეერთე ტური
17 მარტი, კვირა
სამგურალი — ლოკომოტივი
მერანი — ტორპედო
დინამო — კოლხეთი
ვიტ ჯორჯია — გურია
მეტალურგი — სიონი
ბათუმი — გორდა

### ოცდამეორე ტური
22 მარტი, პარასკევი
ლოკომოტივი — ბათუმი
გორდა — მეტალურგი
სიონი — ვიტ ჯორჯია
გურია — დინამო
კოლხეთი — მერანი
ტორპედო — სამგურალი

სათასო დღეებია:
12 და 26 სექტემბერი, 16 და 31 ოქტომბერი,
13 ნოემბერი და 4, 8 დეკემბერი, 24 თებერვალი და 6 მარტი.

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### მეტი არაფერი...

„დღეს საქართველოს ჩემპიონატი იწყება ფეხბურთში..."

ამაზე გულცივ, ამაზე დამცინავ და უადგილო დასაწყისს დღევანდელი საშაბათო სვეტისთვის კაცი ვერ მოიფიქრებდა. არადა, ასეთი დასაწყისი უკვე მოფიქრებული იყო, ისევე, როგორც მისი გაგრძელება. მაგრამ გაგრძელება აღარ იქნება, რადგან ამ ქვეყანაში თანდათან და ნაბიჯ-ნაბიჯ კარგავს აზრს არათუ ფეხბურთი, არამედ სიცოცხლეც.

აქტუალური და მისაღები ხდება ერთადერთი ფრაზა, რომელიც, გინდა თუ არა, შემოდის თავში: „პრინციპები დიდი ფუფუნებაა ჩემთვის, ვინაიდან მე შვილები მყავს". აი, ერთადერთი აზრი, რომელიც აუცილებელია სიმშვიდისთვის ამ ქვეყანაში. მერე, თუ გინდა, გიყვარდეს ფეხბურთი, იცხოვრე მშვიდად და ლატაკად, იყავი ბედნიერი, თუ ამას ბედნიერება ჰქვია.

საერთოდ, აქ გზები ცოტაა, ისევე როგორც ზღაპარში. მარცხნივ წახვალ, დაიღუპები, მარჯვნივ წახვალ, დაიღუპები, პირდაპირ წახვალ... ყველა ვერ მიდის პირდაპირ. წარმოუდგენელია, მთელი ქვეყანა აიყაროს და წავიდეს. შეუძლებელია.

სამაგიეროდ, შესაძლებელია, ყოველდღე უცქირო ტრაგედიას. მიეჩვიო მას, შეეგუო და ილაპარაკო მის შესახებ ისე, როგორც, ვთქვათ, ფეხბურთზე. ეს არის ამბავი, რომელსაც ბოლო არა აქვს. ამის ცქერაში გადის წლები, ადამიანები კი იხოცებიან. მათ კლავს ავადმყოფობა, შიმშილი, ნერვები, ხოლო თუ ეს არ შველის, ახლოა ტყვია. სხვანაირად არ გამოდის — ასეთია ჩვენი ცხოვრება. ასეთია უამრავი ადამიანის ცხოვრება ბევრ ქვეყანაში. ბევრგან კი — არა. ბევრგან შეიძლება იყო ფეხბურთელი და ტყვია არ დაგახალონ იმის გამო, რომ შენს კარში გაიტანე გოლი. ბევრგან შეიძლება იყო ჟურნალისტი და არ მოგკლან როგორც ჟურნალისტი, ან უბრალოდ, როგორც ადამიანი. ბევრგან შეიძლება იცხოვრო ისე, რომ ყოველდღე და ყოველწამს არ იფიქრო ამდენ საშინელებაზე. აქ არა.

ეს ქვეყანა ჩვენი არ არის, ვიღაცის ქვეყანაა. ძალიან ძნელია, ცხოვრობდე ვიღაცის ქვეყანაში და იქაურობა შენად მიგაჩნდეს... გიორგი სანაიას ალბათ ისე ვიცნობდი, როგორც ასობით სხვა მისი კოლეგა. ბოლო წლებში ტელეეკრანზე თუ მოვკრავდი თვალს. მანამდე კი ერთხანს ერთად მოგვიწია მუშაობამ ერთ რედაქციაში. ერთხელ ისე გამოვიდა, რომ გვიან ღამით ერთად გამოვედით რედაქციიდან და კუნაპეტ სიბნელეში მივდიოდით ქუჩაზე. მე რატომღაც ვთქვი, ახლა რომ ვინმემ გაგვასაღოს, დილამდე ვერ გვიპოვნიან-მეთქი. რას ამბობო, ნიუ იორკში ბრუკლინის ხიდი ფეხით გადავიარე ღამის სამ საათზე და აქაური ხიფათი იმ გზის ხიფათთან რა შესადარებელიაო. მაშინ არ გვიფიქრია, რომ ბევრგან ხიფათი მხოლოდ ხიფათია, ბევრგან კი ხიფათი — მთელი შენი ცხოვრება.

პრინციპები დიდი ფუფუნებაა ჩემთვის... მეტი არაფერი გვრჩება.



# მაღალი? დაბალი?

## რეგლამენტი, კოლეგებო! როგორია თქვენი დამოკი-დებულება?

*1. უწინდელთან შედარებით ამაღლდება თუ არა ჩემპიონატის დონე?*

*2. რა არ მოგწონთ მე-13 ჩემპიონატის დებულებაში? მეორე წრეში უმოტივაციოდ დარჩენილმა გუნდებმა შესაძლოა, თამაშები განგებ დათმონ. საეჭვო მატჩები წინა ჩემპიონატშიც იყო. ამას რით ეშველება?*

*3. გუნდის ხელმძღვანელებმა რა შედეგი ისურვეს, და თქვენ რა პირობები მოთხოვეთ? დასახული მიზანი რეალურია თუ არა?*



ეროვნული ბიბლიოთეკა

### დინამო

**გივი ნოდია**

1. ჩემპიონატის დონე, ალბათ, ამაღლდება. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ რამდენიმე ქართული გუნდი სწორ გზაზე დგას. აგერ „ლოკომოტივი", ახალგაზრდა მწვრთნელითა და ფეხბურთელებით, აგერ გაახალგაზრდავებული „დინამო", „ვიტ ჯორჯია", „ბათუმი" და „კოლხეთი", „ტორპედოზე" აღარაფერს ვამბობ... ახლა მთავარი ერთია, სატრანსფერო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. სათანადო დონეზე მოუმზადებელ ნიჭიერ ჭაბუკ ფეხბურთელს უცხოეთის მეორეხარისხოვან კლუბებში თამაშის უფლება არ მივცეთ. დარჩნენ საქართველოში, აქაც ისწავლონ და მერე წავიდნენ, გავუშვათ, ოღონდ ძლიერ ევროპულ კლუბებში.

2. ჩვენ ჩაწყობილ თამაშებს კი არა, ჩვენს თავს უნდა ვებრძოლოთ და ერთმანეთთან გარიგება არ ვიკადროთ. ფეხბურთის ფედერაცია ამ მხრივ კარგად მუშაობს. პირველი ეტაპის შემდეგ გუნდების ექვსეულებად დაყოფამაც ჩემპიონატს დაძაბულობა შემატა.

დებულება კი მიღებულია და მომწონს თუ არა, უნდა ვითამაშოთ. ცხოვრებაშიც ბევრი რამ არ მომწონს. თუმცა კი, ალბათ, მაინც, აჯობებდა, რომ გუნდებს პირველი ეტაპის შემდეგ ქულები არ უნახევრდებოდეთ.

3. „დინამოს" მიზანი ამ სეზონში ერთია — ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ოსტატობა უნდა აიმაღლონ. ეს იყო კლუბის ხელმძღვანელთა მოთხოვნა, რაც, ბუნებრივია, ჩემი აზრიცაა. ისე კი, წინა სეზონში გუნდმა ბრინჯაო თუ მოიპოვა, ახლა ოქროსთვის რატომ არ უნდა იბრძოლოს? ჩვენც ვიბრძოლებთ. ვნახოთ, რა გამოვა. „დინამოს" პრეზიდენტს კი ის ვთხოვე, რაც ზემოთ გითხარით — ახალგაზრდა ფეხბურთელი მეორეხარისხოვან კლუბში არ გავუშვათ, მხოლოდ იმ გუნდებში თამაშის ნება მივცეთ, სადაც, დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ ისინი არ დაიკარგებიან და იქ თამაშით ქვეყანას გამოადგებიან. ძველი, ათი წლის წინანდელი „დინამო" გაიხსენეთ, იმ გუნდის ფეხბურთელები ორი-სამი სეზონი საქართველოში თამაშობდნენ და დღეს მათი უმრავლესობა ნაკრების წევრია.

### სიონი

**ფირუზ რეხვიაშვილი**

1. ჩემპიონატის დონე არ ამაღლდება. ამას გადაჭრით ვაცხადებ. ჩვენ კარგა ხანია, ინერციით მივდივართ. ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავ, რომ ჩემპიონატის ხარისხი გაუმჯობესდეს და ინტერესი შეემატოს. საამისოდ რა გაკეთებულა წინა წლებში — ფაქტობრივად, არაფერი. საქართველოში ფეხბურთის დონის ამაღლების პირობები არ არსებობს. გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ მთავრობამ უნდა მიაქციოს სპორტს და კონკრეტულ შემთხვევაში ფეხბურთს ყურადღება, ისე, როგორც ეს უკრაინაში გაკეთდა. შედეგს, მე მგონი, ყველა ვხედავთ. ასე რომ, ვფიქრობ, სანამ სახელმწიფო ფეხბურთით არ დაინტერესდება, ამ საქმეს არაფერი ეშველება. თავის მხრივ, სახელმწიფოც რომ ცუდ დღეშია... თითქმის ყველა სფეროში პრობლემები გვაქვს, ქვეყანა უკან და უკან მიექანება. აქედან გამომდინარე, ჩვენში საფეხბურთო, ისევე, როგორც სხვა საკითხების გადაწყვეტას, დიდი დრო სჭირდება.

2. დებულებაში ბევრი რამ არ მომწონს, განსაკუთრებით ჩემპიონატის რეგლამენტი. ორი წრის მერე გუნდების ზედა და ქვედა ექვსეულებად დაყოფას და ქულების განახევრებას აზრი არა აქვს, ამით ბევრი ზარალობს და ჩაწყობა-გარიგებებიც აქედან მოდის. ეს პროცესი განსაკუთრებით ზედა ექვსეულში იკიდებს ფეხს, რადგან ექვსიდან ორი გუნდი, ფაქტობრივად, უმოტივაციოდ რჩება — ვერც ევროსარბიელზე გადის, ჯგუფიდან გავარდნაც არ ემუქრება და ჯიბის მოთბობაზე რატომღა იტყვის უარს.

ჩაწყობის გარკვეული ალბათობა, რა თქმა უნდა, ქვედა ექვსეულშიც არის, მაგრამ ძალიან მცირე, რადგან იქ უმაღლეს ლიგაში დარჩენა გარანტირებული არავის აქვს. აქედან გამომდინარე, ჩაწყობის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ, აუცილებელ ნაბიჯად ჩემპიონატის რეგლამენტის შეცვლა მესახება.

3. მეცამეტე ეროვნულ ჩემპიონატში ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. ხელმძღვანელებმაც ეს ამოცანა დაგვისახეს და ვფიქრობ, მას თავს გავართმევთ. რაც შეეხება ჩემს მოთხოვნებს, განსაკუთრებული არაფერი მომითხოვია, რადგან ბოლნისის რაიონის ხელმძღვანელობისგან თანადგომას ყოველთვის ვგრძნობდით, გამონაკლისი არც ამჯერად ყოფილა. გვინდოდა, გუნდი რამდენიმე ფეხბურთელით გაგვეძლიერებინა და კლუბის მესვეურებმა ჩვენს მოსაზრებას ანგარიში გაუწიეს. ასე რომ, ბრძოლის მეტი არაფერი დაგვრჩენია.

### გურია

**ზაზა გურიელიძე**

1. ჩემპიონატის დონე წესით უნდა ამაღლდეს. ცხოვრება წინ მიდის. ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვეზრდება და სწორედ ამ თაობის მეიმედება ძალიან. საერთოდ, ფეხბურთის განვითარება ქვეყნის ეკონომიკურ აღმასვლაზეა დამოკიდებული. ამ ფონზე შეიძლება ჩვენს ფეხბურთს დიდად საიმედო არაფერი უჩანდეს. მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატი წინამორბედზე უკეთესი გამოვა.

2. დებულებას გავეცანი და მიმაჩნია, რომ ნორმალურია, თუმც მასში რამდენიმე სადავო საკითხი მაინც არის. ძირითადად ეს ტრანსფერებზე ითქმის. არასწორია, ფეხბურთელს ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის შემთხვევაში თამაშის უფლება რომ არ ეძლევა. კიდევ სხვა საკითხებიცაა ისეთი, რომლებიც აუცილებლად გადასინჯვას მოითხოვს. ისე კი, საერთო ჯამში დებულება მაინც მისაღებია.

ჩაწყობილ თამაშებს კი მე პირადად ვერ ვიტან და ყოველნაირად ვეცდები, გუნდი რაღაც მაქინაციებში არ გავრიო, თუმც გამორიცხული არ არის, ასეთი მატჩები ახალ ჩემპიონატშიც ვიხილოთ.

3. „გურიას" ტრადიციებიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დამკვიდრებაა. გუნდის ხელმძღვანელობის და მწვრთნელების საერთო საზრუნავი სწორედ ეს არის. პირობები ორივე მხარემ წავუყენეთ ერთმანეთს და ჯერჯერობით ყველაფერი სრულდება. მათი დაკონკრეტება ამ ეტაპზე საჭიროდ არ მიმაჩნია. მთავარია, ყველაფერი რეალურად განხორციელდეს და შედეგიც შესაბამისი იქნება.




### ტორპედო

**რევაზ ძოძუაშვილი**

1. ჩემპიონატის დონის ამაღლება ფეხბურთის ფედერაციაზეა დამოკიდებული. ფედერაციისა და მწვრთნელების პროფესიონალიზმი ამ საქმეში გადამწყვეტია. წესიერად, პატიოსნად უნდა ჩაატაროს ფედერაციამ ჩემპიონატი. ეს ყოველივე კი პირველი სამი-ოთხი ტურის შემდეგვე გამოჩნდება. ვიმეორებ, მთავარი პატიოსნებაა. თუ ასე იქნება, დარწმუნებული ვარ, დონე ამაღლდება, თუ არა, ჩემპიონატი ძველებურად გასრულდება. არაფერი გვეშველება.

2. დებულებაში ყოველთვის შეიძლება მოძებნო კარგიც და ცუდიც. პირადად მე კალენდარი, უფრო სწორად, ჩემპიონატის დაწყების დრო არ მომწონს. უმჯობესი იქნება, ევროტურნირებში მოთამაშე ქართულ კლუბებს საერთაშორისო მატჩებამდე შინაურ ჩემპიონატში ორი-სამი თამაში მაინც ჰქონდეთ გამართული. ჩაწყობილი მატჩები კი მაშინ არ იქნება ჩვენს ჩემპიონატში, როცა ფედერაცია და მწვრთნელები წესიერად მოიქცევიან და საქმეს პატიოსნად გააკეთებენ.

3. გუნდის ხელმძღვანელებმა, ბუნებრივია, ჩემპიონობა მოითხოვეს და პირობებიც ამ მიზნის შესაბამისი შექმნეს. „ტორპედოს" ხელმძღვანელთ დღესდღეობით აქვთ იმის საფუძველი, რომ ჩემპიონობა მომთხოვონ. ერთი სიტყვით, ჩვენი მიზანი რეალურია.

# XIII ჩემპიონატის რეგლამენტის ძირითადი პუნქტები

## ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

3.1. საქართველოს 2001-2002 წლების XIII ჩემპიონატი გაიმართება სამ ლიგად: უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგა;

3.2. უმაღლეს ლიგაში მონაწილეობს 12 გუნდი, რომლებმაც XII ჩემპიონატში მიღწეული შედეგების მიხედვით მოიპოვეს ამავე ლიგაში მონაწილეობის უფლება. თამაშები გაიმართება ორ წრედ (შინ და სტუმრად). გუნდები, რომლებიც დაიკავებენ I-VI ადგილებს, მეორე ეტაპზე აგრძელებენ ბრძოლას განახევრებული ქულებით, საპრიზო ადგილებისთვის ორ წრედ (შინ და სტუმრად) და მომდევნო XIV ჩემპიონატში იასპარეზებენ უმაღლეს ლიგაში.

გუნდები, რომლებიც I ეტაპზე დაიკავებენ VII-XII ადგილებს, მეორე ეტაპზე განახევრებული ქულებით, ორ წრედ (შინ და სტუმრად) აგრძელებენ ბრძოლას უმაღლეს ლიგაში ადგილების შესანარჩუნებლად. XI-XII ადგილებზე გასული გუნდები გადაყვანილი იქნებიან I ლიგაში, ხოლო X ადგილზე გასული გუნდი შეხვდება I ლიგაში III ადგილზე გასულ გუნდს (ნეიტრალურ მოედანზე (1 მატჩი). თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით ტაიმებში არ გამოვლინდება გამარჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები), გამარჯვებული მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს.

3.3. I ლიგაში მონაწილეობს 12 გუნდი, რომლებმაც XII ჩემპიონატში მიღწეული შედეგების მიხედვით მოიპოვეს ამ ლიგაში მონაწილეობის უფლება. თამაშები გაიმართება 2 წრედ (შინ და გარეთ). გუნდები, რომლებიც დაიკავებენ I-VI ადგილებს, აგრძელებენ ბრძოლას განახევრებული ქულებით, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად (ორ წრედ — შინ და სტუმრად). I-II ადგილებზე გასული გუნდები XIV ჩემპიონატში იასპარეზებენ უმაღლეს ლიგაში, ხოლო III ადგილზე გასული გუნდი შეხვდება უმაღლეს ლიგაში X ადგილზე გასულ გუნდს (ნეიტრალურ მოედანზე (1 მატჩი). თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით ტაიმებში არ გამოვლინდება გამარჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები), გამარჯვებული მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს.

გუნდები, რომლებიც დაიკავებენ VII-XII ადგილებს, განახევრებული ქულებით ორ წრედ (შინ და სტუმრად) აგრძელებენ ბრძოლას I ლიგაში ადგილების შესანარჩუნებლად. X-XII ადგილებზე გასული გუნდები გადაყვანილი იქნებიან რეგიონულ ლიგაში.

3.4. უმაღლესი და I ლიგის გუნდებს, რომლებიც I ეტაპის შემდეგ დააგროვებენ კენტ ქულებს, დაემატებათ ერთი ქულა და შემდეგ გაუნახევრდებათ, ხოლო გატანილი და მიღებული ბურთების აღრიცხვა დაიწყება ნოლიდან.

3.5. რეგიონული ლიგა 2001-2002 წლების XIII ჩემპიონატში დაიყოფა ტერიტორიული პრინციპით ორ ზონად: აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად. მატჩები ჩატარდება წრიული სისტემით (შინ და სტუმრად). რეგიონულ ლიგაში მონაწილეობას მიიღებენ გუნდები, რომლებიც დააკმაყოფილებენ სფფ-ს მოთხოვნებს.

რეგიონული ლიგის ზონების გამარჯვებული გუნდები მომავალ XIV ჩემპიონატში იასპარეზებენ I ლიგაში. II ადგილზე გასული გუნდები ნეიტრალურ მოედანზე (1 მატჩში) შეხვდებიან ერთმანეთს (თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით ტაიმებში არ გამოვლინდება გამარჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები), რომლის გამარჯვებულიც ითამაშებს I ლიგაში.

3.6. 2001 წლის სექტემბრიდან ჩატარდება ზონური გათამაშებები შემდეგი დაყოფის პრინციპით: აჭარა, აფხაზეთი, ქ. თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, მესხეთ-ჯავახეთი. ამ გათამაშებებს ატარებენ შესაბამისი რეგიონული ფედერაციები, გამარჯვებული გუნდები კი მოიპოვებენ უფლებას იასპარეზონ რეგიონულ ლიგაში.

3.7. 2002-2003 წლებში საქართველოს XIV ჩემპიონატი ჩატარდება სამ ლიგად. უმაღლესი ლიგა — 12 გუნდი, I ლიგა — 12 გუნდი და ტერიტორიული პრინციპით დაყოფილი რეგიონული ლიგა, აგრეთვე ზონური გათამაშება.

## ჩემპიონატის ჩატარების პირობები

4.1. ჩემპიონატისა და თასის მატჩები უნდა ჩატარდეს სფფ-ს მიერ რეგლამენტით განსაზღვრულ ვადებში.

4.2. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი მოაწყონ საზეიმო ვითარებაში.

4.3. XIII ჩემპიონატში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება — 3 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0 ქულა.

4.4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ყველა ლიგაში ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე (თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით ტაიმებში არ გამოვლინდება გამარჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები), ხოლო მომდევნო ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

1. მოგებათა მეტი რაოდენობა (ამ პრიორიტეტით აქ და ქვემოთ გაირკვევა ჩემპიონატის I ეტაპის შედეგები, ხოლო ჩემპიონატის საბოლოო შედეგების გამოსავლენად აქ და ქვემოთ იგულისხმება II ეტაპის შედეგები);
2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები(ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა, ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში მოწინააღმდეგის მოედანზე მეტი გოლი აქვს გატანილი);
3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6. ფეარ-ფლეის შედეგები.

თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

4.5. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 18 მოთამაშისა. ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომრები მაისურზე.

4.6. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი.

4.7. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების კაპიტნები, გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი.

მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა): მწვრთნელი, გუნდის უფროსი, მწვრთნელის ასისტენტები, ექიმი, მასაჟისტი, ადმინისტრატორი, სათადარიგო ფეხბურთელები (7 მოთამაშე) — სულ 13 კაცი, რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში. კლუბის პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელი პირები ხდებიან საპატიო სტუმართათვის გამოყოფილ ადგილზე. მინდვრიდან გაძევებულ მოთამაშეს სათადარიგო სკამზე ყოფნა ეკრძალება.

4.8. მატჩის მსაჯები და დელეგატი ვალდებულნი არიან შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მონაწილის ბარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მონაწილის ბარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება. მსაჯები და დელეგატი აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯებისა და დელეგატის მოთხოვნით ფორმა უნდა გამოიცვალოს მასპინძელმა გუნდმა.

4.9. უმაღლეს და I ლიგაში მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია თითოეულ თამაშში მსაჯებს წარუდგინოს 4 სათამაშო ბურთი, ხოლო რეგიონულ ლიგის გათამაშებაში მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 2 სათამაშო ბურთი. ბურთები უნდა იყოს აპრობირებული და თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს დამღა ერთ-ერთი შემდეგი წარწერით:

**1. FIFA APPROVED**
**2. FIFA INSPECTED**
**3. INTERNETIONAL STANDARTS**
**4. COMPETITION PRO**

4.10. XIII ჩემპიონატის უმაღლესი და I ლიგის კალენდარულ მატჩებში ნებადართულია სამი ფეხბურთელის შეცვლა, ხოლო რეგიონულ ლიგაში — ხუთი ფეხბურთელისა.

4.11. სფფ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს კლუბთან შეთანხმების შემდეგ შეამოწმოს გუნდში მიმდინარე სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სათანადო დოკუმენტაცია.

4.12. ტექნიკური ზონა სათადარიგოთა სკამის მარჯვენა და მარცხენა მხრიდან თითო მეტრით უნდა იყოს დაშორებული, ხოლო საფეხბურთო მოედნის გვერდითი ხაზიდან — არაუმეტეს 1 მეტრით.

4.13. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე.

4.14. თამაშის დროს სათამაშო კარებს უკან დგომის უფლება აქვთ მხოლოდ ფოტოკორესპონდენტებს (რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტაცია) და ბურთის მომწოდებელ ბავშვებს.

4.15. გუნდებს თამაშის გადატანა შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნულ, ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულია მათი 2 ან მეტი ფეხბურთელი.

4.19. მასპინძელი გუნდი ვალდებულია, შეტყობინების საფუძველზე, სტუმართა გუნდს ერთი დღით ადრე დაუჯავშნოს სასტუმროში არანაკლებ 30 ადგილი, დაეხმაროს მას კვებისა და შინ გამგზავრების ორგანიზებაში. თამაშის წინა დღეს სტუმარ გუნდს უნდა მისცეს სათამაშო მოედანზე ვარჯიშის უფლება.

4.20. უმაღლეს და I ლიგაში მონაწილე ყველა გუნდი ვალდებულია ვიდეოფირზე ჩაიწეროს ჩემპიონატისა და თასის ყველა თამაში და მოთხოვნისთანავე წარმოუდგინოს სფფ-ს. მატჩის ვიდეოფირის უქონლობის შემთხვევაში, საჩივარი არ იქნება განხილული და კლუბი დაჯარიმდება.

4.23. მოთამაშეს მაისურზე მკერდის მარცხენა მხარეს უნდა ჰქონდეს თავისი კლუბის ემბლემა, ხოლო უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელებს მაისურზე მარჯვენა მკლავზე — სფფ-ს ლოგო. მაისურზე ნომრის ზომებია: სიმაღლე — 25 სმ, ხაზის სიგანე — 3 სმ. თუ მაისური ზოლიანია, მაისურზე ნომრები თეთრ ფონზე უნდა იყოს აღნიშნული. მეკარის ფორმა მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ორივე გუნდის მოთამაშეთა და მსაჯთა ფორმის ფერებისაგან.

4.24. გუნდს უნდა გააჩნდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს სფფ-ს განაცხადის შეტანის დროს.

4.25. მასპინძელი გუნდი ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს 2 კვალიფიციური მედპერსონალი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და სახანძრო მანქანები, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა.

4.26. კლუბი ვალდებულია გუნდიდან განთავისუფლებული ფეხბურთელის მონაწილის ბარათი 48 საათის განმავლობაში ჩააბაროს სფფ-ის შესაბამის კომიტეტს და ამავე დროის განმავლობაში წერილობით აცნობოს სფფ-ს ამ ფეხბურთელის გუნდიდან წასვლის შესახებ.

4.27. დელეგატი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე ჩაატაროს თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე გუნდის წარმომადგენლები, შსს-ს თანამშრომელი, მსაჯები, სტადიონის დირექტორი. დელეგატის მიერ მითითებული შენიშვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მატჩი არ გაიმართება.

4.28. მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს სფფ. თამაშები მაისში, და სექტემბერში დაიწყება 17.30 სთ-ზე, ივნისში და ივლისში 19.00 სთ-ზე, აგვისტოში — 18.30 სთ-ზე, აპრილსა და ოქტომბერში — 16.00 სთ-ზე, თებერვალში, მარტში და ნოემბერში 15.00 სთ-ზე, დეკემბერში კი — 14.00 სთ-ზე.

თუ რომელიმე გუნდი, სფფ-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მატჩს ჩაატარებს ხელოვნური განათების ქვეშ, მას უფლება აქვს დაიწყოს შეხვედრა მოგვიანებით.

4.29. კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროზე რომელიმე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დელეგატი და მთავარი მსაჯი ვალდებულია შეამოწმოს მატჩზე მოსული გუნდის ფეხბურთელების ბარათები, ამის შემდეგ დამსწრე გუნდი და მსაჯები ვალდებული არიან სათამაშო ფორმით გავიდნენ მოედანზე და დაამტკიცონ თამაშისთვის მზადყოფნა.

4.30. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში მატჩის დელეგატს უფლება აქვს არ ჩაატაროს მატჩი. საკითხი განსახილველად გადაეცემა სადისციპლინო კომიტეტს.

## შეჯიბრების ჩატარების ადგილი

7.1. სტადიონების მიღება ხდება ჩემპიონატის დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე.

7.2. სტადიონის მიღების აქტი მოწმდება კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან: ქალაქის მერის ან გამგეობის და ადგილობრივი ფედერაციის წარმომადგენლები, შსს-ს თანამშრომლები, სტადიონის დირექტორი, კლუბის პრეზიდენტი.

7.3. სფფ-ს ხელმძღვანელობის თანხმობით განსაკუთრებულ შემთხვევაში კალენდარული მატჩი შეიძლება გადატანილ იქნას სხვა სტადიონზე თუ დაცული იქნება შემდეგი პირობები: სტადიონი უნდა შედიოდეს სპორტნაგებობების რეესტრში, რომლებიც დაშვებულია სფფ-ს მიერ 2001-2002 წლისათვის. შესაბამისი თანხმობის მისაღებად საფეხბურთო კლუბმა სფფ-ს უნდა მიმართოს მატჩამდე არაუგვიანეს 4 დღით ადრე.

7.4. იმ შემთხვევაში თუ საფეხბურთო მინდორი ან სტადიონი, რომელზეც კლუბი ატარებს საშინაო თამაშებს, არ შეესაბამება სფფ-ს მოთხოვნებს, მატჩები გადატანილი იქნება სხვა სტადიონებზე.

7.5. მატჩის გადატანა შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზის გამო:

ა) მატჩის მსვლელობისას განათების გამორთვის შემთხვევაში, მასპინძელი გუნდი დელეგატის მითითების გათვალისწინებით, ვალდებულია, ყველა ღონე იხმაროს პრობლემის მოსაგვარებლად. თუ განათების ჩართვა ვერ მოხერხდა ერთი საათის განმავლობაში, მატჩი გადატანილი იქნება მეორე დღისათვის, დღის საათებში და გუნდები ითამაშებენ მატჩის შეწყვეტისას დარჩენილ დროს. ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს თავის თავზე იღებს მასპინძელი მხარე.

ბ) საფეხბურთო კარის დაზიანების დროს და სხვა შემთხვევებში, მასპინძელი გუნდი ვალდებულია ერთი საათის განმავლობაში შეასწოროს დაზიანება და გაგრძელდეს მატჩი.

გ) ფორს-მაჟორული მდგომარეობისას, რომლის წინასწარ გათვალისწინება გამორიცხულია (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა ბუნებრივი მოვლენები). აგრეთვე, სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას, რომლებიც მატჩის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად მოხდება (საგანგებო მდგომარეობა, კომენდატის საათი მატჩის ჩატარების რაიონში), მეტეოპირობების და სხვა მიზეზების გამო, რომელიც მთავარი მსაჯისა და დელეგატის აზრით, საშიშროებას წარმოადგენს მოთამაშეთა ჯანმრთელობისათვის.

7.6. მატჩის დელეგატი და მთავარი მსაჯი ვალდებულნი არიან ყველა ღონე იხმარონ მატჩის ჩასატარებლად, რის შესახებაც მათ უნდა აცნობონ სფფ-ს ხელმძღვანელობას.

7.7. მატჩის გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე გადაწყვეტილების მიღება ევალება სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტს.

7.8 მასპინძელი კლუბი, რომლის მინდორზეც ტარდება შეხვედრა, ვალდებულია:

— გამოყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მსაჯთა და დელეგატთა უსაფრთხოებას;

— მიაცილოს მსაჯთა ბრიგადა გასახდელიდან მინდვრამდე და მინდვრიდან გასახდელამდე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პირების თანხლებით, ფეხბურთელთა დაცვას ცდინი;

— გამორიცხოს მსაჯთა ოთახში უცხო პირთა ყოფნა. მსაჯთა გარდა, რომლებიც ემსახურებიან მატჩს, ოთახში შესვლის უფლება აქვთ მატჩის დელეგატს, კომისარს, სფფ-ს წარმომადგენლებს, რომლებიც ატარებენ ამ მატჩს და იმ პირებს, რომლებსაც მიიწვევს მსაჯი ან დელეგატი;

— მოთამაშე გუნდების წარმომადგენლებს მსაჯთა ოთახში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ დელეგატის თანხმობის შემდეგ;

— უზრუნველყოს მატჩის ჩატარება რეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტებით;

— უზრუნველყოს მაყურებელთა, მონაწილეთა უსაფრთხოება, სამართალდამცავ ორგანოებთან და სტადიონის დირექტორთან ერთად;

— უზრუნველყოს სტუმართა გუნდის თხოვნა მატჩის ბილეთების შესაძენად (სტადიონის მთლიანი ტევადობის 5-10 პროცენტის რაოდენობით);

— უზრუნველყოს სასწრაფო სატელეფონო კავშირი სფფ-სთან მთავარი მსაჯისთვის (დელეგატისთვის) ოპერატიული ინფორმაციის მისაწოდებლად.

7.9. მასპინძელი კლუბი და სტადიონის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს:

— საფეხბურთო მოედანი, მინდვრის კარგი ხარისხის საფარით, საინფორმაციო ტაბლოთი;

— გასახდელი ორივე გუნდისათვის, რომლებიც მოწყობილია სათანადო რაოდენობის ავეჯით (სკამებით, მაგიდებით, სარკეებით, ტანსაცმლის ჩამოსაკიდით, სამედიცინო ტახტით და სხვა), საფეხბურთო მინდვრის მაკეტით, საშხაპე ცხელი წყლით, რომელშიც უნდა იყოს არანაკლებ 8 შხაპისა;

— სპეციალური ოთახი მსაჯებისათვის, რომელიც მოწყობილია საშხაპით, ტუალეტით, აუცილებელი ინვენტარით და დოკუმენტაციით (ტელეფონი, საფეხბურთო მინდვრის მაკეტი), სამი გასწორებული წამზომით, ბურთის ასაწონი სასწორით, გვერდითი მსაჯებისათვის სამი კომპლექტი წითელი და ყვითელი დროშებით (ზომა 30X40 სმ, ტარის ზომა 45 სმ, დიამეტრი 15 სმ).

— ცალკე ოთახი მატჩის ოქმის გასაფორმებლად, სპეციალურად განკუთვნილი ადგილები ტრიბუნაზე სფფ-ს დელეგატისა და კომისრისათვის;

— ჩაი, მინერალური წყალი ფეხბურთელებისათვის, მსაჯებისა და დელეგატებისათვის, კომისარისათვის (მასპინძელი გუნდის ხარჯზე);

— მუდმივი ადგილები — განკუთვნილი გუნდის ხელმძღვანელებისათვის და სათადარიგო მოთამაშეთათვის;

— სპეციალური ოთახი — განკუთვნილი მატჩის ვიდეოჩანაწერების სანახავად, აგრეთვე ადგილი, სადაც გაიმართება მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია;

— სანიტარული საკაცე;

— შესაბამისი პირადობის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, უზრუნველყოს მონაწილე გუნდებისა და სფფ-ს წარმომადგენლების სტადიონზე დაუბრკოლებლად შესვლა;

— უზრუნველყოს მატჩის კომისრისათვის შეუფერხებელი მოძრაობა (თამაშამდე, თამაშის დროს, თამაშის შემდეგ);

— გამოყოს ადგილები ოფიციალური პირებისათვის და სფფ-ს წარმომადგენლებისთვის;

— სპეციალურად მოწყობილი ადგილები პრესისათვის, სადაც მკაფიოდ უნდა მიეთითოს ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა ტრაფარეტზე — პრესა";

— ჟურნალისტებისათვის სამუშაო პირობების შექმნა.

7.10. სტადიონის დირექცია ვალდებულია მატჩის მსვლელობის დროს გამორიცხოს განცხადება რადიოთი ფეხბურთელთა რაიმე პრიზებით დაჯილდოების ან ფულადი პრემიების შესახებ. ამის შესახებ მაყურებელი უნდა იყოს ინფორმირებული მატჩის დაწყებამდე ან დამთავრების შემდეგ.

7.11. გუნდებს ეკრძალებათ სათამაშო მოედანზე სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ჩატარება.

40° Copa América
# Colombia 2001
11 al 29 de julio


REUTERS მანისალესიდან

კოლუმბიელი ფრედი გრისალესის დარტყმულს სამუელ კაბალიერო გადაეღობა

# ოთხმოცდაათი წუთი ისტორიამდე

**ნახევარფინალი**

**კოლუმბია 2:0 ჰონდურასი**

1:0 ბედოია (6), 2:0 არისტიზაბალი (63)

**მანისალესში,** ზღვის დონიდან 2 100 მეტრის სიმაღლეზე, „პალოგრანდეზე“ კოპა ამერიკის წლევანდელი გათამაშების სენსაციის, ჰონდურასის ნაკრების სანუკვარ და საოცნებო მიზნისკენ მიმავალი გზა დამთავრდა. კოლუმბიელებმა კარიბელებს ნახევარფინალურ მატჩში სძლიეს და კონტინენტის ჩემპიონატის მეორედ ითამაშებენ ფინალში, სადაც ოცდაექვსი წლის წინ პერუელებს წარუმატებლად შეეცილნენ პირველობას, ახლა კი წინ მექსიკა დგას. მასპინძლები, ცხადია, თასის შინ დასატოვებლად თავის დადებენ. გუნდიც გამარჯვებისთვისაა განწყობილი. მწვრთნელ ფრანსისკო მატურანას კი ისტორიაში დამკვიდრების იმედი და კარგი შანსი აქვს: „ისტორიაში შესვლამდე სულ რაღაც ოთხმოცდაათი წუთი გვაშორებს. მიზანი თასია და ჩვენც უნდა შევძლოთ მისი მოპოვება“.

თავის მხრივ, მექსიკელებსაც მწარედ ახსოვთ 1993 წლის წაგებული ფინალი არგენტინელებთან. „აცტეკები“ წინა ორ გათამაშებაში ნახევარფინალურ ბარიერთან გაჩერდნენ. დღეს კი ისინი არ არიან ისეთები, რომ ტურნირზე ყველას დამანგრეველმა მასპინძლებმა ჩემპიონის ტიტული უბრძოლველად ჩაიბარონ. საკუთარი კედლები და გამარჯვების მძაფრი წყურვილი კოლუმბიელებს წაგებაზე ფიქრის ნებასაც არ აძლევს. „არგენტინელებისა და ბრაზილიელების არყოფნის დროს მოვალენი ვართ, პირველობა არავის დავუთმოთ. ჩვენ ძალიან ხელსაყრელ პირობებში აღმოვჩნდით. თუმცა მექსიკის ნაკრები დიდი გუნდია, ჩვენ ჩვენი გუნდის და მისი გამარჯვების ძალიან დიდი იმედი გვაქვს“ — ამგვარია კოლუმბიელი მცველის, ივან რამონ კორდობასა და მისი თანაგუნდელების განწყობა.

კოლუმბიელებმა ტურნირზე ხუთივე მატჩი მშრალად მოიგეს. ოსკარ კორდობამ, რომელიც არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ კარსაც საიმედოდ დარაჯობს, არც ჰონდურასელ მეგოლეს, ბრაზილიელების კარის ორგზის დამლაშქრავ საულ მარტინესსა და მის მეწყვილე ამადო გუევერს გაატანინა. თუმცა მცველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მეკარეს ბლომად ოფლის ღვრამ არ მოუწია. კოლუმბიელებმა გახსნილი ფეხბურთის მოყვარული, ლაღად მობურთალი ჰონდურასელები მკაცრად შებოჭეს. თამაშის მსვლელობა, მასპინძელთა უპირატესობა სწორედ ამით იყო განპირობებული. ნამატჩევს ჰონდურასელთა მწვრთნელმა რამონ მარადოგამ, რომელმაც მეტოქის ტაქტიკას ვერაფერი დაუპირისპირა, განაცხადა: „ჩვენ ვერ გავუმკლავდით კოლუმბიელების ზეწოლას, პრესინგს მთელ მოედანზე. მათ ბურთი დაიჭირეს და მძლავრი, აგრესიული, თამაშით ფიზიკურადაც გვაჯობეს და ტაქტიკაც აგვირიეს. ახლა, მესამე ადგილისთვის ვიბრძოლებთ“.

მატურანას შეგირდებმა, „პალოგრანდეზე“ შეკრებილი ორმოცი ათასი ქომაგი მატჩის დასაწყისშივე დაამშვიდეს. მცველმა ხერარდო ბედოიამ ცაციით ძლიერად დაარტყა და ანგარიში გახსნა. მასპინძლებს მანამდე გოლის გატანის სამი ძალიან კარგი შანსი ჰქონდათ. გულშემატკივარს გოლის შემდეგაც არ უნერვიულია, ყველაფერი ლოგიკურად, კოლუმბიელთა გამარჯვებისკენ მიდიოდა. საბოლოო წერტილი კი ქომაგთაგან „არისტოგოლად“ მონათლულმა ვიქტორ არისტიზაბალმა დასვა. ექვსი გატანილი გოლით ის კოპა ამერიკის ბომბარდირთა სიას სათავეში ჩაუდგა და კოსტარიკელ ვანჩოპეს შინ გამგზავრების შემდეგ ძნელად საფიქრალია, რომ მას მთავარ მეგოლეობას ვინმე შეეცილოს.

კვირას კი კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში დიდი ამბავი იქნება. ჯერ ჰონდურასელები და ურუგვაელები იბრძოლებენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის, მოგვიანებით კი თითო-თითოჯერ ფინალში ნამყოფი, მაგრამ კოპას ვერმომგები კოლუმბიისა და მექსიკის ეროვნული გუნდების შეხვედრა საუკეთესოს ვინაობას გაარკვევს.

**გიორგი გამარდაშვილი**



კოლუმბიელები ქალიან-კაციანად სიხარულისგან გადაირივნენ

**ფეხბურთის რუკასთან**

**ბოლივიის** ნაკრების მწვრთნელად ხორხე ხაბეგერი დაინიშნა. მან პოსტზე კარლოს არაგონესი შეცვალა, რომელიც კოპა ამერიკაზე გუნდის უხეირო თამაშის შემდეგ გადადგა. ბოლივიელებმა ჯგუფში სამივე მატჩი წააგეს, თან ისე, რომ ერთი გოლიც ვერ გაიტანეს. ტომით არგენტინელი ხაბეგერი ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოამზადებს. აღსანიშნავია, რომ იგი ბოლივიელებს 80-იანი წლების დასასრულს და 90-იანი წლების დასაწყისში ედგა სათავეში. ის წვრთნიდა ქვეყნის ერთ-ერთ სახელოვან კლუბ „ბოლივარსაც“ და მას რამდენიმე ტიტულიც მოაგებინა.

**პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველმა უგო ლეალმა „პარი სენ ჟერმენთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მისმა აწ უკვე ყოფილმა კლუბმა მადრიდის „ატლეტიკომ“ კი სანაცვლოდ 8 მილიონი დოლარი მიიღო. პარიზელთა ბასკმა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა განაცხადა, რომ 21 წლის ფეხბურთელს დიდი მომავალი აქვს. იგი იმედოვნებს, რომ პორტუგალიელი მალევე გამოაჩენს თავის სიძლიერეს. მწვრთნელმა დასძინა, რომ ლეალს დღეს საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ტურში „ლილის“ წინააღმდეგ, ალბათ, არ ათამაშებს, თუმცა მომავალ ოთხშაბათს ინტერტოტოს თასზე „გენტთან“ შეხვედრაში, სავარაუდოდ, უკვე შეუშვებს მინდორზე.**

**ნიგერიელი** თავდამსხმელი ჯონათან აკპობორი „ვოლფსბურგიდან“ „საარბრიუკენში“ გადაბარგდა. ამრიგად, იგი დაბრუნდა კლუბში, სადაც 1990-დან 92 წლამდე თამაშობდა. 32 წლის აკპობორის კიდევ ორი სეზონი უნდა გაეტარებინა „ვოლფსბურგში“. შეგახსენებთ, რომ ნიგერიელი შარშან სკანდალში გაეხვია, მას ბავშვებით ვაჭრობაში ადანაშაულებდნენ. „მოხარული ვარ, რომ ძველ კლუბში დავბრუნდი. იმედი მაქვს, „საარბრიუკენს“ ბუნდესლიგაში გადასვლაში დავეხმარები“ — განაცხადა ფორვარდმა.

**განელმა მცველმა სამუელ კუფურმა მიუნხენის „ბაიერნთან“ 2005 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება. ამ ფეხბურთელთან ბოლო თვეების განმავლობაში „რომა“ და „ბარსელონა“ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, თუმცა მან ჩემპიონთა თასის მფლობელ კლუბში არჩია დარჩენა. ახალი კონტრაქტის პირობით, 24 წლის მცველის მსურველმა გუნდმა „ბაიერნს“ 15,8 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.**

**ესპანურმა** „სელტამ“ „ლას პალმასიდან“ იერეი ორტეგა გადაიბირა. ასევე გავრცელდა ცნობა, რომ ვიგოური კლუბი ახალ სეზონამდე აღარავის შეძენას აღარ აპირებს. 22 წლის ფეხბურთელმა „სელტასთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმცა, შესაძლოა, შეთანხმება კიდევ გაახანგრძლივონ. ახალწვეულმა „სელტაში“ ხესულისა და გუსტავო ლოპესს უნდა გაუწიოს კონკურენცია, რადგან მათი ამპლუის მოთამაშეა.



ბერნარ ტაპი და ტომისლავ ივიჩი მოულოდნელად გაიყარნენ

# ივიჩი გულს უჩივის
## მარსელი უმწვრთნელოდ იწყებს

**უცნაურია,** მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე მარსელის „ოლიმპიკი“ უმწვრთნელოდ დარჩა. ოფიციალური ვერსიით, 68 წლის ხორვატ მწვრთნელ ტომისლავ ივიჩს გული აწუხებს და თანამდებობა თავისი ნებით დატოვა. ამავე მიზეზით იგი შარშან დეკემბერში ლიეჟის „სტანდარტიდან“ წავიდა, თუმცა აპრილში ბერნარ ტაპის თხოვნით „ოლიმპიკში“ ესპანელი ხავიერ კლემენტე შეცვალა. ივიჩმა ერთ დროს ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდის უმაღლეს დივიზიონში დატოვება შეძლო და მარსელელები შერცხვენას გადაარჩინა. სეზონის დასრულებისთანავე დაიოდა ხმები ხორვატი სპეციალისტის გუნდიდან წასვლის შესახებ, მაგრამ მან ეს ზაფხული პრაქტიკულად „ოლიმპიკში“ გაატარა.

მაშ, რა მოხდა? დღეს „ოლიმპიკს“ პირველი ტურის შეხვედრა სტუმრად მონპელიეში აქვს გასამართი, ტაპიმ კი მწვრთნელი გაათავისუფლა. ივიჩის მოვალეობას ამჟამად მისი თანაშემწე ჟოზე ანიგო ასრულებს, რომელმაც უკვე მოასწრო ვარჯიშის ჩატარება. „მოვლენების ასეთ განვითარებას არ ველოდი. ეტყობა, ასეთია მწვრთნელის ბედი. მსგავსი რამ ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება შეემთხვეს“ — ბრძანა ახალგამომცხვარმა თავკაცმა.

დიდია იმის შანსი, რომ ივიჩის წასვლა გუნდზე უარყოფითად იმოქმედებს. ამ ზაფხულს ხომ კლუბში ძირეული ცვლილებები მოხდა. გაყიდეს 17(!) და იყიდეს რვა ახალი ფეხბურთელი. საერთოდ, ფრანგული პრესის აზრით, ბოლოდროინდელ მოვლენებს ბერნარ ტაპი აკონტროლებდა და ხელმძღვანელობდა, მწვრთნელები კი მხოლოდ მის ნება-სურვილს ემორჩილებოდნენ. როგორც არ უნდა იყოს, მწვრთნელთა ცვლა ჩემპიონატის სასტარტო მატჩის წინ, მეტი რომ არ ვთქვათ, ნებისმიერი გუნდისთვის არასასიამოვნო ფსიქოლოგიურ ფონს ქმნის.

ვეტერანმა ხორვატმა სპეციალისტმა კარიერა 1969 წელს სპლიტში დაიწყო. მისი პირველი უცხოური გუნდი 1980 წელს ბელგიის „ანდერლეხტი“ იყო. იქიდან მოყოლებული ივიჩმა მრავალი ქვეყანა და კლუბი გამოიცვალა: „გალათასარაი“, „პანათინაიკოსი“, პსჟ, „აიაქსი“, მადრიდის „ატლეტიკო“, „პორტუ“ და „ბენფიკა“. 90-იანი წლების დასაწყისში ტომისლავ ივიჩმა მარსელის „ოლიმპიკი“ ორჯერ გახადა საფრანგეთის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის ფინალშიც კი ათამაშა, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კი იგი ირანის ნაკრებს თავკაცობდა.

**გაგა ხუციშვილი**

# ამსტერდამის ოთხთა ტურნირი



ვალენსია — ლივერპული. სანტიაგო კანისარესმა კი გაუშვა, მაგრამ მაიკლ ოუენს არ გაატანინა

**ტურნირის** მეორე შეხვედრის მე-17 წუთზე დამსწრე საზოგადოება ოვაციით შეეგება „ლივერპულის" თავდამსხმელ იარი ლიტმანენს, რომელმაც დაშავებული ემილ ჰესკი შეცვალა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფინელი მატჩის გმირად იქცა იმ ქალაქში, სადაც ერთ დროს გმირი იყო. სწორედ ლიტმანენმა გაიტანა ერთადერთი, თუმცა კი ულამაზესი ბურთი კანისარესის კარში.

ეს საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე მოხდა, მანამდე კი სახიფათო მომენტები მხოლოდ პეგი არპეშადის კართან იქმნებოდა. ორჯერ ვალენსიელებმა ძელს მოარტყეს ბურთი, რამდენჯერმე „ლივერპულის" გოლკიპერმა იყოჩაღა, ერთხელ კი ანგულომ ახლოდან ააცილა.

„ვაღიარებ, რომ „ვალენსია" ჩვენზე სახიფათოდ უტევდა, ჩვენ კი უფრო ვზოზინობდით, ვიდრე ვთამაშობდით, თუმცა ეს სეზონის ამ მონაკვეთში ჩვეულებრივი მოვლენაა" — თქვა ჟერარ ულიემ და ჟურნალისტებს ისიც აცნობა, რომ ჰესკის დაშავება ისეთი მძიმე არ აღმოჩნდა, როგორიც თავიდან ჩანდა. „მაგრამ ემილი „აიაქსთან" მაინც ვერ ითამაშებს, ფაულერის ამბავი კი მატჩის წინ გადაწყდება" — დასძინა გამარჯვებულთა თავკაცმა.

რობი ფაულერი მერსისაიდელებს „ვალენსიასთან" შეხვედრის წინ დაუშავდათ, ჰესკი, როგორც გითხარით — მატჩის მე-17 წუთზე. სწორედ ამიტომ გამოჩნდა „ლივერპულის" რიგებში ლიტმანენი, ვინც კუნძულელებს გამარჯვება მოუტანა, მის გარდა მიმომხილველები მხოლოდ მცველ ჯიმი ტრაორეს გამოარჩევენ, რომელმაც ძირითადში ადგილი შეიფერა და ესპანელთა ნორვეგიელ ფორვარდ კარეუს ფეხი არ გაანძრევინა.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩამდე ერთი დღით ადრე „ლივერპულმა" კიდევ ერთი ახალი თავდამსხმელი შეიძინა — როგორც კლუბის ვებ-გვერდზე იუწყებიან, ოსტრავას „ბანიკის" 19 წლის მილან ბაროსი მალე თავის ორ თანამემამულეს ბერგერსა და შმიცერს შეუერთდება.

### აიაქსი 0:1 მილანი

0:1 რუი კოშტა (13)

აიაქსი: გრიმი, კოფუ, პასანენი, იაკუბუ, ობრაიენი (კრუზი 46), ვან დერ ვაარტი, შ. არველაძე, გალაშეკი, მიდო, ზლატანი, ვან დერ მეიდე

მილანი: აბიატი, მალდინი (კოსტაკურტა 62), კონტრა (ჰელვეგი 46), სერჟინიო, კოკო, გატუზო, კალაძე, დონატი, რუი კოშტა (ბირინდელი 85), ინძაგი (მორენო 72), შევჩენკო (პირლო 72)

**ამსტერდამელებს** „მილანის" პორტუგალიელმა ახალწვეულმა, „ფიორენტინასგან" 28 მილიონ გირვანქად ნაყიდმა რუი კოშტამ მოუთავა საქმე — დაბალი ბურთი, შორეულ ძელთან აუღებლად ჩაუსრიალა „აიაქსის" გოლკიპერ ფრედ გრიგს. იტალიელებს მანამდეც შეეძლოთ ეხეირათ, მაგრამ ანდრეი შევჩენკომ ახლო მანძილიდან ვერ ივარგა — დარტყმულს გრიგი გადაეღობა და მერე ბურთი ხარიხამ აისხლიტა. გოლის გატანის შანსი ფილიპო ინძაგისაც მიეცა, რომელიც კოზმინ კონტრას მიერ კარის გასწვრივ გაგზავნილ ბურთს კი დაუხვდა, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა.

„აიაქსმაც" გამოიდო თავი. აქტიურობდა ზლატანი. პირველ ტაიმში ერთადერთი ხაფათიც მან შექმნა „მილანის" კართან. ზლატანი მეორე ტაიმშიც ბევრს ცდილობდა, რამდენჯერმე მოხდენილი დრიბლინგითაც გაიბრწყინა, მაგრამ ეგ იყო და ეგ. „აიაქსის" საყრდენმა ტომაშ გალაშეკმა კი ოციოდე მეტრიდან ერთობ ეფექტური დარტყმა შეასრულა. თუმცა, თუ სილამაზეზე და ეფექტურობაზე მიდგა საქმე, პირველ რიგში შოთა არველაძე უნდა ვახსენოთ. ქართველი ერთ ეპიზოდში მოხდენილად დაუსხლტა „მილანის" დაცვას, რომელიც ხელოვნური თამაშგარის შექმნას აპირებდა.

### ვალენსია 0:1 ლივერპული

0:1 ლიტმანენი (86)

ლივერპული: არპეშადი, ბაბელი (დიომედი 65), ჰიიპია, ტრაორე, კარაგერი, ბისკანი, მერფი (ბარმბი 65), მაკალისტერი (ჰამანი 65), რიისე, ოუენი (ბერგერი 77), ჰესკი (ლიტმანენი 17)

ვალენსია: კანისარესი, კარბონი (ფაბიო აურელიო 66), პელეგრინო, აიალა (იორკლუნდი 76), მარკენა, ტორესი, ალბელდა, რუფეტე (კილი გონსალესი 46), აიმარი (ხანდრო 83), კარეუ (სანჩესი 70), ანგულო.



REUTERS ამსტერდამიდან

აიაქსი — მილანი. ანდრეი შევჩენკომ (№7) „აიაქსის" დაცვაც ჩვეულად აწიოკა

# გინდათ დიდი ხელფასი? იწუწუნეთ!



რივალდომ ფულშიც გაიტანა

**„ბარსელონას"** ბანაკში რამდენიმე ახალი ამბავი მოხდა. მივყვეთ თანმიმდევრობით. რივალდოს მოთხოვნა დააკმაყოფილეს და მას ხელფასი გაუზარდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 29 წლის ბრაზილიელი „კამპ ნოუდან" აღარსად წავა, რაზეც ხშირად ლაპარაკობდნენ. და კიდევ, მსოფლიოს 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელის შეძენის მსურველ კლუბებს — „იუვენტუსსა" და „ლაციოს" საბოლოოდ მოეცარათ ხელი. რომაულმა კლუბმა რივალდოს გადაბირებაზე უკვე თქვა უარი, თუმცა სხვა რაღა დარჩენოდა...

„ბარსელონას" დირექტორატის წევრი ანტონიო პარესამ რივალდოს გარშემო ატეხილ აურზაურს უბრალო გაუგებრობა უწოდა, მერე კი ქომაგები დაამშვიდა, ყველაფერი მოვაგვარეთ და ამაში დიდი წვლილი პრეზიდენტმა ხუან გასპარმა შეიტანაო. ამ უკანასკნელს ბრაზილიელთან დიდხანს უსაუბრია ტელეფონით — მოთხოვნების დაკმაყოფილებას დაჰპირებია. გასპარის სიტყვა კი ასეთია — რივალდოს წლიური ხელფასი 4,2 მილიონი დოლარიდან 6,3 მილიონ დოლარამდე გაეზარდოს.

ჯამაგირზე ვერ თანხმდებოდა პატრიკ კლუივერტიც. მისი მხრიდანაც გაისმა მუქარა, აქაოდა, თუ ხელფასს არ მომიმატებთ „ბარსელონადან" წავალო. მსურველიც მდიდარი ჰყავდა — „მანჩესტერ იუნაიტედი". თუმცა [illegible] ეს თავსატეხიც მოაგვარა. ჰოლანდიელს მეტ ფულს შეჰპირდა და თავდამსხმელმაც კმაყოფილმა მოაწერა ახალ კონტრაქტს ხელი. მერე კი გამოაცხადა: „ოდნავი სირთულეები იყო, რაც გულშემატკივრებს, ცხადია, არ ესიამოვნათ. მაგრამ მთავარია, რომ ყველაფერი მოგვარდა".

დაახლოებით ასეთი რამ თქვა მისმა თანამემამულე მცველმა მიხაელ რაიციგერმა და 2005 წლამდე კონტრაქტი თავისი ხელმოწერით დაამშვენა, მერე ისიც დასძინა, მადრიდის „რეალს" ვჯობივართ და ამას დაგანახებთ კიდეც, გაისად ჩემპიონები რომ გავხდებითო.

დარჩენილებზე ვთქვით, ახლა წასულნიც ვახსენოთ. კერძოდ, სიმაო საბროსა, რომელმაც ხუთშაბათს ლისაბონის „ბენფიკასთან" გააფორმა კონტრაქტი. მისი სამშობლოში დაბრუნება პორტუგალიელებს 10,6 მილიონი დოლარი დაუჯდა.

21 წლის სიმაო კატალონიურ გუნდში 1999 წელს ლისაბონის მეორე კლუბ „სპორტინგიდან" გადავიდა, კატალონიელებმა მასში 12,2 მილიონი დოლარი გადაიხადეს. საგულისხმოა ისიც, რომ პორტუგალიელ ნახევარმცველს 2007 წლამდე ჰქონდა „ბარსელონასთან" კონტრაქტი და თუ მანამდე რომელიმე კლუბი მის შეძენას მოისურვებდა, კატალონიელთა სალაროში 60 მილიონი დოლარი უნდა ჩაერიცხა. თუმცა დღეს ყველაფერი მოთხოვნა-მიწოდების კანონით რეგულირდება. რაც მეტია მყიდველი, ფასიც შესაბამისად იმატებს და პირიქით. სიმაოს შემთხვევაშიც პირიქით მოხდა. რადგან ფეხბურთელზე არცთუ დიდი მოთხოვნა იყო, „ბარსამ" იგი მთელი 50 მილიონი დოლარით ჩამოაფასა. ამით კლუბმა ორი წლის წინ გადახდილი ფულიც ვერ ამოიღო.

**ნიკა შუბლაძე**



სიმაო სამშობლოში გაუშვეს

# ტრაპატონიმ ბაჯო მსოფლიოსთვის გააცოცხლა



ღვთისა და ტრაპატონის წყალობით ბუდისტი რობერტო ბაჯო შესაძლოა კორეა-იაპონიაში წავიდეს

**იტალიის** ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ რობერტო ბაჯოს შანსი აქვს, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს. ტრაპატონის ის როლი მოსწონებია, რომელიც წინა სეზონში „რომას" შემადგენლობაში ჰიდეტოში ნაკატამ შეასრულა. რამდენიმე შეხვედრაში, მაგალითად, „იუვენტუსთან" და „ატალანტასთან", ფაბიო კაპელომ იაპონელი ტოტის ნაცვლად შეუშვა მოედანზე და ნაკატამაც იმ მატჩებში გუნდს მეტად საჭირო ქულები მოუტანა. „სკუადრა აძურას" მწვრთნელისთვის რობერტო სწორედ ის ფეხბურთელია, შეცვლაზე შესულს თამაშის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლია, ამიტომაც კორეა-იაპონიაში მის წაყვანასაც აპირებს.

თავის მხრივ, პასუხი ფეხბურთელსაც არ დაუყოვნებია: „ჩემთვის ეს სეზონი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ჩემი მიზანია. ამის მისაღწევად კი „ბრეშას" შემადგენლობაში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა მომიწევს" — განაცხადა რობერტო ბაჯომ.

**გაგა ხუციშვილი**

### ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი. ფინეთი

დანია 2:3 პოლონეთი

ესპანეთი 3:2 ბელგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| ბელგია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| დანია | 3 | 0 | 0 | 3 | 4:9 | 0 |

24 საათის ინფორმაცია განმაავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანიის ბუნდესლიგა 2001–2002



წინა სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი დარტყმა: პატრიკ ანდერსონის გოლმა მიუნხენის „ბაიერნი“ გააჩემპიონა

## გერმანია არ ყვირის, გერმანია მუშაობს!

**დღეს** 39-ე ბუნდესლიგა იწყება. ტურნირი, რომელშიც ექვსი ქართველი შეეცდება თავის გამოჩენას. ამთგან ხუთი ფრაიბურგელია, ერთი კიოლნელი.

გერმანული ბუნდესლიგა ოთხი უძლიერესი ევროპული ჩემპიონატიდან ერთ-ერთი და თან ყველასგან განსხვავებულია. იტალიური სერია A-ს, ესპანური პრიმერადივიზიონისა თუ ინგლისური პრემიერლიგისგან განსხვავებით, გერმანიის მთავარ ლიგაში არასოდეს უთამაშიათ სახელიან უცხოელებს. ცხადია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ინგლისელი კიგანი, დანიელი სიმონსენი, ფრანგი პაპენი და კიდევ რამდენიმე კაცი თუ გაგვახსენდება. იქ აქცენტი ყოველთვის ადგილობრივებსა და მუშა უცხოელებზე კეთდებოდა. ასე იყო ამ ზაფხულსაც. ბუნდესკლუბებმა უამრავი ფეხბურთელი იყიდ-გაყიდეს, მაგრამ მათ შორის არავინაა ისეთი, ვთქვათ ზიდანის, რუი კოშტას ან თუნდაც ვერონის დარად რომ კაშკაშებდეს.

თუ მეტ-ნაკლებად ცნობილ გვარებს ჩავეძიებით, საინტერესო ამბავს აღმოვაჩენთ. თვალში ბელგიელები და ბელგიის ჩემპიონატში ნათამაშევი ხალხი მოგვხვდება. ასე მაგალითად, ბელგიის ნაკრების 32 წლის კაპიტანი მარკ ვილმოტსი ფრანგული „ბორდოდან“ „შალკეში“ დაბრუნდა, „ანდერლეხტის“ ბარტ გოორი „ჰერტაში“ გადავიდა, ხოლო მისი თანაგუნდელი, ახმახი ჩეხი იან კოლერი „დორტმუნდის“ ფეხბურთელი გახდა.

| 17.00 | 024 | კილი-ესენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 17.00 | 025 | ვერდერი (მ)-მაგდებურგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.). 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 17.30 | 028 | ანსბახი-ზიგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 029 | ბურგჰაუზენი-რეგენსბურგი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 17.30 | 030 | ვეჰენი-კიკერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 031 | დარმშტადი-ერფურტი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 032 | აალენი-ოფენბახი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 18.00 | 033 | კაიზერსლაუტერნი (მ)-ჰოფენჰაიმი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.00 | 034 | შტუტგარტი (მ)-ფულდა | 1,45 | 3,6 | 6,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 20.15 | 036 | პსჟ-ლილი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 037 | ბასტია-სედანი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 038 | ლანსი-ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 039 | ლორიანი-მეცი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 040 | მონაკო-სოშო | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 041 | მონპელიე-მარსელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 042 | რენი-ოსერი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 043 | ტრუა-გენგამი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 23.00 | 044 | აიაჩო-ნანსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 045 | ამიენი-ბოვე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 046 | გრენობლი-კაენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 047 | გენიონი-ნიმი | 1,95 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 048 | ლე მანი-კრეტეი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 049 | ნიცა-ლავალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 050 | სენტ ეტიენი-ისტრი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 051 | მარტიგი-ნიორი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 052 | ვასკეალი-შატორუ | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 23.00 | 053 | ლე ავრი-სტრასბური | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### ჩეხეთი. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 21.15 | 054 | ტეპლიცე-სიგმა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 19.30 | 055 | იაბლონეცი-ჰრადეც-კრალოვე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 056 | ბანიკი-ჟიჟკოვი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.30 | 057 | ბრნო-პრჟიბრამი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.30 | 058 | ბოჰემიანსი-ოპავა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.30 | 059 | სინოტი-ლიბერეცი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.30 | 060 | ბლშანი-სპარტა | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 22.00 | 061 | სლავია-დრნოვიცე | 1,3 | 4,4 | 8,0 |

### პოლონეთი. მე-2 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 18.00 | 069 | სტომილი-რადომსკო | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 063 | ზაგლებე-ოდრა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 20.15 | 065 | გურნიკი-ოსტროვეცი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.30 | 067 | გროცლინი-შლიონსკი | 1,75 | 3,0 | 4,0 |
| 20.30 | 068 | პოგონი-რუხი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 20.00 | 064 | ვისლა-პოლონია | 1,6 | 3,2 | 5,6 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 19.00 | 070 | აბერდინი-რეინჯერსი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 19.00 | 071 | დანდი იუნაიტედი-დანდი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 072 | დანფერმლაინი-მოზერუელი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 073 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 074 | ლივინგსტონი-ჰართსი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 21.35 | 075 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,6 | 10,0 |

### ავსტრია. მე-4 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 20.15 | 081 | შტურმი-კერნტენი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.30 | 082 | ადმირა-ზალცბურგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 083 | რაპიდი-ბრეგენცი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.30 | 084 | რიდი-გრაცერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 19.30 | 085 | ტიროლი-აუსტრია | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. მე-5 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 20.15 | 087 | ციურიხი-ბაზელი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.30 | 088 | სენტ გალენი-აარაუ | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 089 | სერვეტი-ლუგანო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.30 | 090 | სიონი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. მე-5 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 20.30 | 097 | ბადენი-თუნი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.30 | 099 | კონკორდია-დელემონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 100 | ვადუცი-ვილი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.30 | 101 | ვინტერთური-კარუჟი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 22.30 | 098 | ბელინცონა-კრიენსი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 19.15 | 102 | ივერდონი-ლოკარნო | 1,55 | 3,5 | 5,3 |

### დანია. მე-2 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **29 ივლისი** | | | | | |
| 18.00 | 103 | ორჰუსი-ოლბორგი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 18.00 | 104 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 105 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 18.00 | 106 | კოპენჰაგენი-ვაილე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.05 | 107 | აკადემისკი-ბრიონდბიუ | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| **30 ივლისი** | | | | | |
| 22.00 | 108 | ოდენსე-სილკებორგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### რუსეთი. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 17.00 | 110 | ცსკა-როტორი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 17.00 | 111 | ჩერნომორეცი-ზილ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 17.00 | 112 | სოკოლი-სატურნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 17.00 | 113 | ზენიტი-ფაკელი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 17.00 | 114 | ლოკომოტივი-დინამო | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 17.00 | 115 | ანჟი-კრილია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 17.00 | 116 | ალანია-ტორპედო | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### შვედეთი. მე-15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **29 ივლისი** | | | | | |
| 20.00 | 118 | აიკ-სუნდსვალი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 20.00 | 119 | ჰეკენი-ნორჩიოპინგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 120 | მალმიო-ჰალმსტადი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| **30 ივლისი** | | | | | |
| 22.00 | 121 | ჰამარბი-ტრელებორგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 122 | ელფსბორგი-იორგრიტე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 123 | იორებრო-ჰელსინგბორგი | 2,8 | 2,9 | 2,4 |

### ნორვეგია. მე-16 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **29 ივლისი** | | | | | |
| 21.00 | 124 | ბრინი-ბრანი | 3,8 | 3,5 | 1,75 |
| 21.00 | 125 | მოსი-მოლდე | 2,6 | 3,4 | 2,2 |
| 21.00 | 126 | ოდ გრენლანდი-ლინი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 21.00 | 127 | რუსენბორგი-ბოდიო გლიმტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 21.00 | 128 | სოგნდალი-ლილესტრიომი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 21.00 | 129 | სტრიომგოდსეტი-სტაბეკი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 21.00 | 130 | ტრომსიო-ვიკინგი | 3,5 | 3,1 | 1,9 |

### ფინეთი. 22-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **29 ივლისი** | | | | | |
| 20.30 | 131 | ატლანტისი-ლაჰტი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.30 | 132 | ჰაკა-როვანიემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 133 | ჯაზი-ჰიკ | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 20.30 | 134 | ვაასა-კუოპიო | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| **30 ივლისი** | | | | | |
| 20.30 | 135 | იოკერიტი-მიუპა | 3,5 | 3,2 | 1,9 |

### კოპა მერკოსური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 22.45 | 526 | პალმეირასი-რივერ პლეიტი | | | |
| 01.10 | 527 | გრემიო-უნ.დე ჩილე | | | |
| 03.10 | 528 | ნასიონალი-ოლიმპია | | | |
| 03.10 | 529 | სან ლორენსო-ფლამენგო | | | |
| 05.10 | 530 | ტალიერესი-სან პაულუ | | | |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 19.00 | 531 | კორინტიანსი-ინდეპენდიენტე | | | |
| 21.10 | 532 | პენიაროლი-ველეს სარსფ. | | | |
| 23.10 | 533 | ვასკო და გამა-ბოკა ხუნ. | | | |
| 23.10 | 534 | კრუზეირო-კოლო კოლო | | | |

### ტურნირი ამსტერდამში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 21.30 | 537 | ვალენსია-მილანი | | | |
| 23.45 | 538 | აიაქსი-ლივერპული | | | |

### ამხანაგური მატჩები (ავსტრიაში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | |
| 22.00 | 540 | მალიორკა-არსენალი | 2,9 | 3,0 | 2,2 |

### კოპა ამერიკა (კოლუმბიაში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **29 ივლისი** | | | | | |
| 24.00 | 543 | მე-3 ადგილი | | | |
| 02.30 | 544 | ფინალი | | | |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **28 ივლისი** | | | | | |
| 16.30 | 546 | მადაგასკარი-კონგო | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 547 | მალავი-ზიმბაბვე | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| **29 ივლისი** | | | | | |
| 19.30 | 548 | ანგოლა-ტოგო | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 549 | ნიგერია-განა | 1,2 | 3,8 | 6,5 |
| 21.00 | 550 | კოტ დივუარი-კონგო დრ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 551 | სუდანი-სიერა ლეონე | 1,5 | 3,6 | 5,6 |

### იუნიორთა (18 წლ.) ევროპის ჩემპიონატი (ფინეთში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **29 ივლისი** | | | | | |
| 14.00 | 558 | მე-3 ადგილი | | | |
| 17.30 | 559 | ფინალი | | | |

### ტურში გატანილი გოლები

**28 ივლისი**

21.15 702 ჩეხეთი (1-ლი):

19 და ნაკლები - 1,9; 21 და მეტი - 1,9

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# გურჯაანში

1 აგვისტოს გაიხსნება კროკოს ახალი ბიურო

მისამართი: დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეები: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა

## სამი ერის პირველობა



ედი ჯონსი

# პერსივალ დარტყმებს შეწირული

**დღეს** საღამოს პრეტორიაში სამხრეთ აფრიკა ავსტრალიას უმასპინძლებს. ეს უბრალო ტესტი არ გეგონოთ, ახალი საუკუნის პირველი სამი ერის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩია. პირველ შეხვედრაში, ერთი კვირის წინ აფრიკელებმა ახალ ზელანდიას უმასპინძლეს და 3:12 წააგეს.

დღევანდელი მატჩისთვის „ქურციკთა" მთავარმა მწვრთნელმა ჰარი ფილიუნმა ამ პოსტზე მოსვლის შემდეგ არჩეული გეზი არ შეცვალა და იგი თავისი გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდავებას შეეცადა. ამ პოლიტიკას ამჯერად კეიპტაუნის მცველი პერსივალ (პერსი) მონტგომერი შეეწირა. ფილიუნმა მის ნაცვლად თხუთმეტნომრიანი მაისურა ახალგაზრდა და გამოუცდელ კონრად იანტიესს ჩააბარა.

მონტგომერის ნაკრებიდან მოკვეთა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი ასაკის ბრალი არაა. მან ახალ ზელანდიასთან ჩაგდებული მატჩის საფასურიც გადაიხადა. მაშინ „ქურციკთა" დამრტყმელობა სწორედ მას დაეკისრა, მაგრამ ოთხი ცდიდან პერსიმ ოდენ ერთხელ უწია მიზანს და რა გასაკვირია, ფილიუნს მოთმინების ფიალა ავსებოდა.

რაც შეეხება იანტიესს, იგი 21 წლისაა და იოჰანესბურგში ტინუს დელპორტის შემცვლელია, დელპორტისა, რომელიც დღეს თავად იქნება სათადარიგო. ნაკრებში იანტიესს ერთხელ უთამაშია. იგი რამდენიმე კვირის წინ იტალიელთა განადგურებაში მონაწილეობდა.

„ქურციკთა" რიგებში მომხდარი დანარჩენი ცვლილებები უფრო მოსალოდნელი და გარდაუვალი იყო. მარიუს ჟუბერის მაგივრად, რომელსაც ახალ ზელანდიასთან საერთაშორისო დებიუტი ჰქონდა, ბრაამ ფან სტრაატენი დაბრუნდა. მისი ნაკრებში ხელახალი გამოჩენა მარტო ჟუბერის მტკივანი მუხლის ბრალი არ არის, რადგან ფან სტრაატენი აფრიკელთაგან ლამის საუკეთესო ჩუბინია, რომლის კუნძულელებთან არყოფნაც მწარედ ინანა ფილიუნმა. თვალდაზიანებული ვიქტორ მეტფილდის ადგილს შერკინების მეორე ხაზში იოჰან აკერმანი დაიკავებს, სათადარიგოთა სკამზე კი მომჯობინებული კორნე კრიხე დაჯდება.

„ჩვენ შეგვიძლია ავსტრალიის დამარცხება პრეტორიაში. ვოლაბები მეტად ჭკვიანი მორაგბეები კი არიან, მაგრამ არა უძლეველნი. უბრალოდ, მოთმინებით უნდა ალვიჭურვოთ და რაც შეიძლება მეტხანს შევინარჩუნოთ ბურთი. იმედია, იმდენ ხელსაყრელ მომენტს აღარ გავანიავებთ, რამდენიც ახალ ზელანდიასთან გავანიავეთ" — განაცხადა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „ქურციკთა" მწყემსმა.

თუმცა, ჩემი აზრით, სამხრეთაფრიკელებს ამჯერად უფრო გაუჭირდებათ გამარჯვება, ვიდრე გასულ შაბათს,ვინაიდან დღეს მათ მსოფლიოს საუკეთესო დაცვასთან მოუწევთ საქმის დაჭერა.

მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალიელები კი ამ მატჩით არა მარტო ახალ ტურნირს იწყებენ, არამედ ახალ სანაკრებო ერასაც. ბრიტანელი ლომების სერიაში 2:1 დაჩაგვრის შემდეგ ნაკრების მესაჭეობიდან გადადგა როდ მაკქუინი, კაცი, რომელმაც ოზებს რაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოაგებინა. მისი ადგილი ედი ჯონსმა დაიკავა, ვიზეც გამოუცდელიაო, ვერავინ იტყვის, რადგან გასულ სეზონში მისი გაწვრთნილი კანბერა პირველი არაახალზელანდიური გუნდი გახდა, სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი საკლუბო ტურნირი, ზე-12 რომ მოიგო.

ახალი მწვრთნელი თურმე ყოველთვის ახალ შემადგენლობას არ ნიშნავს. გამონაკლისებიც შეიძლება მოხდეს, ოღონდ ამისთვის ისეთი ნაკრები უნდა გყავდეს, როგორიც ავსტრალიაა. ძნელია, რომელიმე „ვოლაბის" გუნდიდან ამოგდება, რადგან ისინი ერთმანეთზე უფრო ძლიერები არიან და ვინმეს თუ რაიმე ტრავმა არა აქვს, მისი შეცვლა საჭირო არ არის.

ზუსტად ასე მოიქცა ჯონსიც და სამხრეთ აფრიკას თითქმის იგივე შემადგენლობით ესტუმრა, რომელმაც ორიოდ კვირის წინ ბრიტანელი ლომები მოათვინიერა სიდნეიში.

„არაფრის შეცვლას არ ვაპირებ, რადგან ისედაც ყველაფერი რიგზეა. ერთადერთი შეიძლება რაღაცეების ოდნავ გაუმჯობესებაზე ვიფიქრო" — განაცხადა ჯონსმა, რომელიც ვერც სულ მთლად გულხელდაკრეფილი იჯდება.

„ვოლაბებს" არ ეყოლებათ ტრავმირებული სტივენ ლარკემი, რომლის გამოჯანმრთელების იმედი ავსტრალიელებს ახალ ზელანდიასთან 11 აგვისტოს გასამართი პირველი მატჩისთვის აქვთ. მაკქუინის ბოლო შემადგენლობაში ერთადერთი ცვლილებაა — ლომებთან მესამე ტესტში ტრავმის გამო არმყოფი დევიდ გიფინი თავის ადგილს დაუბრუნდა, რამაც ჯასტინ ჰარისონის უქმობა გამოიწვია.

ბოლოს კი გეტყვით, რომ მართალია, ოზები ფავორიტები არიან, მაგრამ არც აფრიკელები არიან ჩამოსაწერები. მათ ავსტრალიელები თავიანთ კონტინენტზე 1996 წლიდან მოყოლებული 1999 წლის ჩათვლით ოთხჯერ დაამარცხეს, შარშან კი მეტად დაძაბული ორთაბრძოლა ოდენ ერთი ქულით დათმეს.

**გაგი გურული**

> **სავარაუდო შემადგენლობები**
>
> *სამხრეთ აფრიკა: იანტიესი, პოლსე ფლეკი, ფან სტრაატენი, ჰოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; კემპსონი, ფან ბილიონი, ფისახი, აკერმანი, ენდრიუსი, ფენტერი, ფოსი, სკინსტედი (კაპ.).*
>
> *სათადარიგოები: ლე რუ, სმიტი, კრიხე, ფან ნიკერკი, დე კოკი, კეიზერი, დელპორტი*
>
> *ავსტრალია: ბერკი, უოლკერი, ჰერბერტი, გრეი, როფი, ფლეტლი, გრეგანი; სტაილსი, ფოლი, მური, გიფინი, ილზი (კაპ.), ფინეგანი, კეფუ სმიტი.*
>
> *სათადარიგოები: ქენონი, დარვინი, კოკბეინი, ლაიონზი, ვიტაკერი, ედმონდსი, ლეითემი*



# მარჯვენამ შეარცხვინა

**ლოს ანჯელესი (აშშ)**
**„მერსედეს-ბენცის თასი"**
**ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

ბრიტანელი ახმახი გრეგ რუზეცკი მძლავრი მოწოდებით არის განთქმული და ბურთის ყველა დროის უსწრაფესად მომწოდებელს, ღონიერი მარჯვენის წყალობით არაერთი ბობოლა წამოუქცევია. რუზეცკის მიერ ძლეულთა სიას ამ ხუთშაბათს იქნებ მსოფლიოს მესამე ჩოგანი ანდრე აგასიც მიმატებოდა, მაგრამ ბრიტს ამჯერად საკუთარმა იარაღმა უმტყუნა.

არა, რუზეცკი იმ დღეს მშვენიერ ფორმაში იყო, რასაც მისი 11 ეისიც მოწმობს. პირველი სეტის დათმობის შემდეგ მან შეძლო ანგარიშის გათანაბრება და გადამწყვეტ, მესამე ხელში დიდი ომი გაუმართა ხოტორა ამერიკელს, მაგრამ სწორედ კრიტიკულ მომენტში დაალალატა ქებულმა მოწოდებამ. მესამე სეტში 4:5 ანგარიშზე მეათე გეიმს ბრიტი 40:15 იგებდა და სულ ერთი ბურთი სჭირდებოდა ანგარიშის გასათანაბრებლად, მერე კი ვინ იცის, რა მოხდებოდა, მაგრამ აქ ბრიტს სამიზნე მოეშალა და ვერც ერთი პირველი მოწოდება ვერ ჩააგდო. მეორე, გაცილებით სუსტი მოწოდებები კი ამერიკელის იოლი ლუკმა ხდებოდა. აგასი, მოგეხსენებათ, რუზეცკის ანტიპოდია, მიღებაში ბადალი არ ჰყავს. რუზეცკის მეორე მოწოდებას იგი ლამის ორჯერ სწრაფად უბრუნებდა თამაშის რიტმიდან ამოვარდნილ მეტოქეს და ამგვარად მან ზედიზედ ხუთი გათამაშება მოიგო. იმ გეიმში, სეტში და შესაბამისად შეხვედრაშიც მას დარჩა გამარჯვება. „ვერ ვიტყვი, რომ არ გამიმართლა. როდესაც მეტოქეს ხუთი ბრეიკპოინტი აქვს, რომელიმეს აუცილებლად ჩაგიგდებს" — თქვა ნამატჩევს აგასიმ.

მეოთხედფინალში ანდრე აგასი თანამემამულე ჟან-მაიკლ გემბილს ხვდება. წინასწარვე ვთქვათ, რომ შტეფი გრაფის ბოიფრენდს და მომავალ მამას იოლი გასეირნება არ ელის, მიუხედავად იმისა, რომ გემბილი მისი დიდი თაყვანისმცემელია. „მე ანდრეს ცქერაში ვიზრდებოდი, ის ჩემი კერპია" — ამბობს გემბილი, თუმც ამ თაყვანისცემას მისთვის ხელი არ შეუშლია, ანდრესთავის არცთუ შორეულ წარსულში ორი მატჩი მოეგო. აღსანიშნავია, რომ გემბილი ამ ტურნირის შარშანდელი ფინალისტია, აგასის კი შარშანწინ მოეცარა ხელი ფინალში.

აგასიზე ნაკლები ჯაფა დაადგა მსოფლიოს პირველ ჩოგანს და ამდენად ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ ბრაზილიელ გუსტავო კუერტენს. გუგა ამერიკელ რობი ჯინეპრის ხვდებოდა და რამდენიმე ათასი ლოსანჯელესელის ყიჟინის თანხლებით მოუხდა თამაში. თანამემამულეთა მხარდაჭერით გამხნევებულმა ამერიკელმა ალბათ კარიერაში საუკეთესო ხელი ითამაშა და პირველი სეტი ოდენ ტაი-ბრეიკში დათმო. „ცოტა ვიზარმაცე — არ დაუმალავს კუერტენს — თვალები მეხუჭებოდა და გამუდმებით ხმაური რომ არა, ალბათ კორტზე ზეზეურად დამეძინებოდა". რაც შეეხება მეორე სეტს, აქ ბრაზილიელმა 6:2 იძალა და მეტოქე ზუსტად იმავ გზას გაუყენა, რომელსაც მისი ბოლო 13 წინამორბედი. ბრაზილიელი მეოთხედფინალში გერმანელ ტომი ჰაასს შეხვდება, რომელმაც აგრეთვე ამერიკელი მეტოქე, სახელად ბობ ბრაიანი სულ, იოლად წააქცია.

მეორე წრეს უსენსაციოდ არ ჩაუვლია. ბელგიელი ქსავიე მალისი ურიგო მეჩოგნე სულაც არაა, მაგრამ ამ დღეს იგი მსოფლიოს მეორე ჩოგან რუს მარატ საფინს ხვდებოდა და ყველა განწირულად თვლიდა. თავად ბელგიელი კი სხვაგვარად ფიქრობდა. 21 წლის მალისი მხოლოდ პირველი სეტის პირველ ნახევარში ეთამაშებოდა ტოლ-სწორად ასაკით უმცროს რუსს, მერე კი მის ღონიერ მოწოდებებს გასაღები უპოვა და ორ ხელში მოუთავა საქმე.

**მეორე წრე: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6(7:4), 6:2; ქსავიე მალისი (ბელგია) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 7:5, 6:3; ანდრე აგასი (3, აშშ) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 6:3, 4:6, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (7, აშშ) — პოლ გოლდშტეინი (აშშ) 6:4, 6:4; ტომი ჰაასი (8, გერმანია) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:2, 6:3; ტეილორ დენტი (აშშ) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:7(4:7), 6:2, 7:5.**

**ივანე კობიაშვილი**



# F1

**მეთორმეტე ეტაპი** **გერმანიის დიდი პრიზი**

## ჰოკენჰაიმრინგი

*ჰოკენჰაიმი, 29 ივლისი*

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . **6.825 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . **45 წრე — 307.125 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 ბარიკელო (ფერარი); 2 ჰაკინენი (მაკლარენი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ბატონი (უილიამსი); 5 სალო (ზაუბერი); 6 დე ლა როსა (ეროუსი)

**წრის რეკორდი:** 2000 — ბარიკელო (ფერარი) 1:44.300 (235,6 კმ/სთ)

**ყველა გამარჯვებული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1951 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1952 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1953 | ჯუზეპე ფარინა | იტალია | ფერარი |
| 1954 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მერსედესი |
| 1956 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ფერარი |
| 1957 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მაზერატი |
| 1958 | ტონი ბრუქსი | დიდი ბრიტანეთი | ვენუოლი |
| 1959 | ტონი ბრუქსი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1961 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1962 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | BRM |
| 1963 | ჯონ სარტისი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1964 | ჯონ სარტისი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1965 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1966 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | ბრებემი |
| 1967 | დენის ჰალმი | ახალი ზელანდია | ბრებემი |
| 1968 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | მატრა |
| 1969 | ჟაკი იქსი | ბელგია | ბრებემი |
| 1970 | იოხენ რინდტი | ავსტრია | ლოტუსი |
| 1971 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1972 | ჟაკი იქსი | ბელგია | ფერარი |
| 1973 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1974 | კლეი რეგაცონი | შვეიცარია | ფერარი |
| 1975 | კარლოს რუტმანი | არგენტინა | ბრებემი |
| 1976 | ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1977 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი |
| 1978 | მარიო ანდრეტი | აშშ | ლოტუსი |
| 1979 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | უილიამსი |
| 1980 | ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | ლიჟიე |
| 1981 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი |
| 1982 | პატრიკ ტამბე | საფრანგეთი | ფერარი |
| 1983 | რენე არნუ | საფრანგეთი | ფერარი |
| 1984 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1985 | მიკელე ალბორეტო | იტალია | ფერარი |
| 1986 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | უილიამსი |
| 1987 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | უილიამსი |
| 1988 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1989 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1990 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1991 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1992 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1993 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | უილიამსი |
| 1994 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | ფერარი |
| 1995 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1996 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1997 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | ბენეტონი |
| 1998 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |
| 1999 | ედი ირვინი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 2000 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | ფერარი |

**„ჰოკენჰაიმრინგი"** ბელგიური სპა-ფრანკორშამის შემდეგ სიგრძით მეორე ტრასაა. ასევე მეორეა წრის სიჩქარის მიხედვით (ყველაზე სწრაფია „მონცა"). სამაგიეროდ, ჰოკენჰაიმს სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის — დევიდ კულჰარდის „მაკლარენმა" შარშან ერთ-ერთ მონაკვეთზე 361 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

მარტივი პროფილის ამ მეტად ჩქაროსნულ ტრეკზე უმთავრესია ბოლიდის სიმძლავრე და საიმედოობა. ასე რომ, ხვალ „უილიამსსაც" წარმატების დიდი შანსი აქვს. თუმცა ბუკმეიკერები გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად ჩემპიონატის ლიდერ მიხაელ შუმახერსა და წინა, ბრიტანული ეტაპის მოგებით გამოცოცხლებულ მიკა ჰაკინენს თვლიან. მიხაელს, მოგეხსენებათ, ათი დღის წინ „მონცაზე" ვარჯიშისას მძიმე ავარია შეემთხვა. მართალია, სერიოზულად არ დაშავებულა (მხოლოდ კისრისა და წელის ტკივილს უჩიოდა), მაგრამ ექიმებმა მცირე ხნით საჭესთან ჯდომა აუკრძალეს. „წითელი ბარონი" ახლა თავს მშვენივრად გრძნობს და ოთხშაბათს მორიგ საფეხბურთო მატჩშიც მიიღო მონაწილეობა.

„ჰოკენჰაიმრინგზე" ყველაზე მეტი პოდიუმი (4) და ყველაზე მეტი ქულა (31) სწორედ მის ანგარიშზეა. მიკას და დევიდს 20-20 ქულა აქვთ. შემდეგ მოდიან ჟან ალეზი (13), რუბენს ბარიკელო (11), ედი ირვინი (10), ჟაკ ვილნევი (8), რალფ შუმახერი (6).

გუშინდელმა ვარჯიშმა მოულოდნელი შედეგები მოიტანა: პირველ ცდაზე ყველას ბარიკელომ აჯობა, მეორე დრო დე ლა როსას („იაგუარი") ჰქონდა. შესვენების შემდეგ ვითარება შეიცვალა — საუკეთესო შედეგი ირვინმა („იაგუარი") აჩვენა, ხუან პაბლო მონტოიას „უილიამსი" მას სულ რაღაც ექვსი მეასედი წამით ჩამორჩა. მომდევნო ადგილებზე ჰაკინენი, ბარიკელო და მიხაელ შუმახერი იყვნენ.

## ტურ დე ფრანსი

# იგივე სამეული მხოლოდ მეორედ

## ლენს არმსტრონგმა ისევ მოიგო!

არა, ამერიკელი ნამდვილად უძლიერესთა გვერდითაა მოსახსენიებელი. ახლა ველოსპორტის ლეგენდების კოპის, ანკეტილის, მერქსის, ინოს, ჩამოთვლისას არმსტრონგის დავიწყებაც არ ეგების. დარწმუნებული ვართ, „პოსტალის" ლიდერი კიდევ კარგა ხნით შეინარჩუნებს პელოტონზე ბატონობას.

გუშინ გამართულმა ინდივიდუალურმა რბოლამ საერთო ჩათვლაში უკანასკნელი მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა. ახლა თუ რაიმე უბედური შემთხვევა არ მოხდა, არც მოწინავე სამეული შეიცვლება ბოლო ორ ეტაპზე, არც ხუთეული და არც ოცეული.

ეტაპის სამი საუკეთესოს ფინიშზე მისვლამდე ფრანგი დიდიე რუ დაწინაურებულიყო. ამ წარმატებით მან მხოლოდ ერთი ადგილი მოიგო და შარშანდელი „ჯიროს" ჩემპიონ სტეფანო გარძელის მეთერთმეტეობა დაათმობინა. კოლუმბიელმა სანტიაგო ბოტერომ ჰოლანდიელ მიკაელ ბოგერდს რამდენიმე დღის წინ მოპოვებული მერვე ადგილი დააკარგვინა, რადგან სამ წუთზე მეტით აჯობა.

ესპანელმა იგორ გონსალეს დე გალდეანომ კარგა ხნით ყვითელი მაისურას მფლობელი ფრანსუა სიმონი გააძევა ხუთეულიდან, ვინაიდან მშვენიერად იბრძოლა და მხოლოდ არმსტრონგს ჩამორჩა. „გონსალეს დე გალდეანოსთან ბრძოლისას მალე მივხვდი, არაფერი გამომივიდოდა" — თქვა სიმონმა, რომელიც „ტურზე" თავისი მეცხრე მონაწილეობით უზომოდ კმაყოფილია. იგი ხომ ყველასათვის მოულოდნელად ფრანგთა შორის საუკეთესო გახდა.

პოდიუმზე დაიკავა ადგილი ხოსება ბელოკიმ, ვინც ანდრეი კივილევს ორი იმდენი მოუგო, რასაც ამ ეტაპამდე აგებდა. მეორეობა იოლად შეინარჩუნა იან ულრიხმა. გერმანელმა შარშანდელ „ტურზე" უფრო მედგარი წინაალმდეგობა გაუწია არმსტრონგს და 58 კილომეტრში ოდენ 25 წამი დათმო, წლეულს კი 61 კილომეტრის გავლას ამერიკელზე წუთითა და 43 წამით მეტი მოანდომა. მათ სტარტი ერთდროულად რომ აეღოთ, პოსტალელი 2 კილომეტრს მოიგებდა.

არსმტრონგი, ულრიხი, ბელოკი. პოდიუმი ისეთივეა, როგორიც გასულ წელს.

საინტერესოა, რომ ასეთი რამ „ტურის" ისტორიაში მხოლოდ მეორედ ხდება. 1978-79 წლებში მოწინავე სამეული ინომ, ზოტემელკმა და აგოსტინომ შეადგინეს.



სადილი „ტურით" უფრო გემრიელია

### მეთვრამეტე ეტაპი

მონლუსონი — სენ-ამან-მონრონი, ინდივიდუალური რბოლა, 61 კმ

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 1სთ 14წთ 16წმ
2. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +1წთ 24წმ
3. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +1წთ 39
4. დიდიე რუ (საფრანგეთი, ბონჟური) +2წთ 25
5. მარკოს სერანო (ესპანეთი, ონსე) +2წთ 25

### საერთო ჩათვლა

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 79სთ 07წთ 33წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +6წთ 44
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +9წთ 05
4. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი, კოფიდისი) +9წთ 53
5. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +13 წთ 28

# ტურის ოზი პეპელა

თუ კვირას „ტურის" პოდიუმზე საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურის ჩასაცმელად ავა, სტიუარტ ოგრედისთვის ეს კარიერაში ჯერჯერობით უმნიშვნელოვანესი მიღწევა იქნება.

თუმცა სხვაობა მასსა და ერიკ ზაბელს შორის იმდენად მცირეა, ავსტრალიელი სპრინტერი წამდაუწუმ გამოთვლებს აწარმოებს რბოლის მიმდინარეობის შესაბამისად და მოიერიშეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

„სამშაბათს პოდან ლავორამდე ყველაფერი იდეალურად წარიმართა. 25 მრბოლი დაწინაურდა, რომელთა შორის ერთიც არ იყო ჩემი უშუალო კონკურენტი და ამიტომ მშვიდად ვიყავი. ვიცი, ალარც ერთ გუნდს არ შეუძლია რბოლის გაკონტროლება და ფინალური სპრინტების მომზადება, შესაბამისად მოიერიშეებს წარმატების დიდი შანსები აქვთ და შეიძლება, ელისეს მინდვრებზეც კი რომელიმე მათგანმა მოიგოს. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია მწვანე მაისურას ბედი ძალიან ცოტა ქულამ გადაწყვიტოს" — თქვა წარმოშობით ადელაიდელმა მრბოლმა, რომელიც უკვე კარგა ხანია ტულუზის გარეუბანში ცხოვრობს.

პატარა განმარტება ოგრედის მსჯელობის უკეთ გასაგებად:

მწვანე მაისურასთვის ბრძოლაში მრბოლები ქულებს იღებენ ეტაპზე და საშუალედო სპრინტებში დაკავებული ადგილების მიხედვით. უმთო ეტაპზე ჩასათვლელ ქულებს პირველი 25 მრბოლი იღებს, საშუალომთიანზე — 20, მაღალმთიანზე კი — 15. ინდივიდუალურ ეტაპებზე მხოლოდ 10 მოწინავე, საშუალედო სპრინტებში პირველი სამეული იზრდის ქულების მარაგს. მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა ერთ ეტაპზე, საშუალედო სპრინტების მოგების ჩათვლით, 47-ია, დღეისთვის კი ოგრედი ზაბელს 11 ქულით უსწრებს.

„1999 წელს მეორე ადგილზე გავედი ზაბელის შემდეგ, შარშან უკეთეს ფორმაში ვიყავი, მაგრამ წავიქეცი და შეჯიბრს გამოვეთხოვე. მერე „ტურს" შინ, დივანზე წამოწოლილი ვუყურებდი ლავიწისძვალგატეხილი და თავს ძალიან დაჩაგრულად ვგრძნობდი. წლეულს ჯერ ისევ ლიდერი ვარ ქულათა ჩათვლაში და, იმედია, ვერავინ გამასწრებს" — ამბობს ოგრედი.

„კრედი აგრიკოლის" მრბოლმა დიუნკერკიდან მოყოლებული ძალიან ბევრი იშრომა და გაიღო მწვანე მაისურის ჩასაცმელად. პროლოგში მან მერვე ადგილი დაიკავა, სამი დღის შემდეგ ყვითელი მაისურა მოიპოვა, ანტვერპენში მოგების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან, მაგრამ ქულები ბლომად ჩაიჯიბა, მერე ყინვასა და წვიმაში „ტურის" მთავარ შეტევაში მიიღო მონაწილეობა, როცა ლტოლვილებმა პელოტონს ნახევარ საათზე მეტი მოუგეს.

„ალპებში თუ გავძლებდი, არ მეგონა, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა" — თქვა ოგრედიმ. ერთდღიანმა დასვენებამ ავსტრალიელს სულზე მიუსწრო და მანაც პერპინიანში რამდენიმე ქულის მოსაპოვებლად ხელახლა შეუტია. პირინეებიდან გამოსვლის შემდეგ ოზი პეპელა თავს შედარებით უკეთ გრძნობს, მაგრამ ვინაიდან ძალიან პატარა უპირატესობა აქვს, მუდმივად დაძაბული და ყურადღებით სავსეა.

„ერიკ ზაბელთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. მას უდიდეს პატივს ვცემ. ზაბელს ველოსპორტის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან მილანი—სან რემო ოთხჯერ აქვს მოგებული და „ტურის" საუკეთესო სპრინტერი ზედიზედ ხუთჯერ გამხდარა, რაც აქამდე ვერავის გაუკეთებია. თუ წლეულს მის ჯობნას მოვახერხებ, ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო მომენტი იქნება" — განაცხადა პარასკევ საღამოს მწვანე კონტინენტიდან ბებერ კონტინენტზე გადმოფრენილმა პეპელამ.



სტიუარტ ოგრედი ავტოგრაფებს არიგებს

**გაგი გურული**

# სახურავიდან მობრუნებული

**მეჩვიდმეტე ეტაპი მშვენიერი შეტევის შემდეგ ბელგიელმა სერჟ ბაგემ მოიგო. თითქოს დიდი არაფერი, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, ხოლმე, „ტურზე" თავგამოჩენილები უფრო ახლოს გაგაცნოთ, ბაგესთან დაკავშირებით კი ეს ერთგვარ აუცილებლობასაც წარმოადგენს, ვინაიდან მისი ისტორია განსაკუთრებულია...**



სერჟ ბაგე

**— სერჟ, თქვენი სპორტული კარიერის დასაწყისი დიდებული იყო. ორიოდ სიტყვით ხომ არ გაიხსენებდით?**

— ახალგაზრდობაში, დაახლოებით 14-15 წლისა, დებიუტანტების კატეგორიაში ლამის ყველა რბოლას ვიგებდი. ბელგიაში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი და მსოფლიო ათეულშიც ნამდვილად შევდიოდი. ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა, არანაირი სტრესი, მაგრამ როცა მოყვარულებში გადავბარგდი, გამარჯვება გართულდა. პროფესიონალებში კი უფრო გამიძნელდა. ველარაფერს ვიგებდი და ფსიქოლოგიურად ძალიან მიჭირდა.

**— და თქვენ კარიერის შეჩერება გადაწყვიტეთ...**

— დიახ, მორალურად გატეხილი ვიყავი. აქამდე დიდი შრომა არ მჭირდებოდა, ყველაფერი თავისით მოდიოდა, ახლა კი... სამწლიანი შესვენების შემდეგ, ერთხელ მეგობარ პროფესიონალებთან ერთად მივაქროლებდი ველოსიპედს. მათ მითხრეს, რომ ეს უვარჯიშებლობის მიუხედავად კარგად გამომდიოდა და მირჩიეს, ველოსპორტს დავბრუნებოდი. იმ დროს ჩემი სიმამრის ფირმაში ვმუშაობდი სახლების გადახურვაზე და ვარჯიშისთვის არ მეცალა. თუმცა სიმამრს ველო ძლიერ უყვარს და მანაც ხელი შემიწყო ვარჯიშის განახლებაში. მერე რამდენიმე გუნდს შევეხმიანე და „ტურზეც" მოვხვდი.

**— რა გაგახსენდათ გამარჯვების მომენტში?**

— ჩემი ცოლი. მხოლოდ მან იცის, თუ რა დამიჯდა ისევ გაპროფესიონალება, რაშიც ის ძალიან დამეხმარა.

**— წარმოიდგენდით, რომ ერთ დღეს დაბრუნდებოდით?**

— ნამდვილად ვერა. ლამის პარტო სახურავებზე ძრომიალით და ჩემი კოლეგებივით ლუდის სმით ვიყავი დაკავებული.

**— ფიქრობდით, რომ შეტევა წარმატებული გამოდგებოდა?**

— ამაში დარწმუნებული ვერასოდეს იქნები. მიზნის მისაღწევად ყველაფერი გავაკეთეთ. განსაკუთრებული მადლობა იაკობ პიილს უნდა ვუთხრა, რომელმაც ძალიან თავდადებულად იმუშავა. თავიდან უპირატესობას ვერ ვზრდიდით, მაგრამ მერე ხუთი წუთით გავასწარით პელოტონს. თუმცა ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე ჩემმა სპორტულმა დირექტორმა მითხრა, რომ დანარჩენები გვეწეოდნენ და რაღაც უნდა მეღონა. მე, პიილი და ლელი დავცილდით დანარჩენ მოიერიშეებს, დასასრული კი იცით.

**— რა უთხარით მასიმილიანო ლელის ფინიშამდე 5 კილომეტრით ადრე?**

— ვთხოვე მასაც ემუშავა, მაგრამ მითხრა, გასავათებული ვარო. მე და პიილსაც გამოგვეცალა არაქათი, მაგრამ მაინც ვუძლებდით და საწადელსაც მივაღწიეთ. სპრინტში უფრო ლელისი მეშინოდა, თუმც იგი მართლაც გამოფიტულიყო და ვერაფერი მოახერხა.

### ცოტაოდენი ისტორია და გეოგრაფია



„ოქროს ქალაქი", ბუაშოს აყვავებული დედაქალაქი, რომელიც საფრანგეთის შუაგულში მდებარეობს და მდიდარი ისტორია აქვს. მონრონის (მრგვალი მთა) ციხესიმაგრე, ძველი ქალაქი რომანული ეკლესიით, ანტიკური „ქვის ხიდი", სენ-ვიკის მუზეუმი, ბერის არხი — აი, რითი შეუძლია თავმოწონება გუშინდელი ეტაპის ფინიშის ადგილს სენ-ამან-მონრონს. იგი დღეს განვითარების საკმაოდ დიდ პროგრამას ახორციელებს და ახლო მომავალში მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

### ერთი დღის ისტორია

1956 წლის 27 ივლისს სენტ ეტიენიდან მონლუსონამდე როჟე ასანფორდემ იმწლევანდელ „ტურზე" მეთხე ეტაპი მოიგო. მან ლამის სტარტზევე შეუტია და სიმარტოვეში 187 კილომეტრი გაიარა. ერთი პირობა 22 წუთსაც იგებდა და რა გასაკვირია, მონლუსონშიც რომ პირველი მივიდა. ფინიშის გადაკვეთისთანავე ნერვიულობისგან ცრემლებიც ალვარლვარა, რაც ძალიან გასაგები იყო. ამ წარმატებით ასან-ფანტაზიორმა ერთგვარად შურიც იძია თავის ტრადიციულ გუნდზე. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ-ცენტრალური საფრანგეთის ნაკრებმა ამჯერად მას კარი ცხვირწინ მიუჯახუნა და ალზასელი ბრეტონის ნაკრებმა შეიფარა. არც შემცდარან ბრეტონელები, რადგან მშვენიერი გამოსვლით ასანფორდემ მათ გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოაპოვებინა.

მსოფლიოს ჩემპიონატი

# კაცია ზვიადაური!

ემზარ ზენაიშვილი

მიუნხენიდან

**ყველაზე** მეტი — 58 მონაწილე 81 კგ წონით კატეგორიაში იყო. მათ შორის სამი ქართველიც, სამი ქვეყნის სახელს რომ იცავდნენ — რუსეთისას ლაშა ფიფია, რომელიც მიმდინარე წლის ევროპის ვერცხლისათვის რუსეთის პრეზიდენტმა ამასწინათ ორდენით დააჯილდოვა, თურქეთის სახელით მოასპარეზე ირაკლი უზნაძე — ევროპის სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი, და გრიგოლ მამრიკიშვილი — რომელიც საქართველოს ღირსებას იცავდა და გასული წლის მსოფლიო ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის. მაისში, მისი დებიუტი პარიზის ევროპის ჩემპიონატზე კი წარუმატებელი გახლდათ.

გრიგოლ მამრიკიშვილს საერთო ჯამში წუთიც კი არ დასჭირვებია ჯერ უკრაინელი კამო ბალაიანისა და შემდეგ რუმინელი ვალენტინ ბუშანუს დასამარცხებლად. ასევე დამაჯერებლად გაწვლო პირველი ორი წრე ირაკლი უზნაძემაც. ლაშა კი პირველივე შეხვედრაში უგებდა ჰოლანდიელს, შემდეგ მამაკაცისათვის ყველაზე ფაქიზ ადგილას მოწინააღმდეგის ფეხი ძალზე მტკივნეულად მოხვდა, თითქმის ერთი წუთი ტატამზე იკოტრიალა ტკივილისგან და სულ მალე წააგო.

90 კგ წონით კატეგორიაში 52 მონაწილე იყო. კამერუნელ ბივოლეს რომ ზურაბ ზვიადაური — ასევე გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, წლევანდელი ევროპის პირველობის წარუმატებელი დებიუტანტი — იოლად გაუსწორდებოდა, ეჭვი არ გვეპარებოდა. მეორე წრეში ჩვენებური იაპონელი მასატოში ტობიცუკას პირისპირ აღმოჩნდა. პირველ და მეოთხე ტატამზე ერთსა და იმავე დროს ორი ქართველი ჭიდაობდა — ზურაბი მეოთხეზე, გრიგოლი პირველზე. ჩვენი ყურადღება, ისევე როგორც მაყურებელთა უმრავლესობისა, მეოთხე ტატამისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ქართველი კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა იაპონელს. 38-ე წამზე ზურაბის ბრწყინვალე კისრული და დარბაზმა ერთბაშად იხუვლა — იპონი! შენც არ მომიკვდე — მხოლოდ ვაზარი. ზვიადაური ისევ შეტევაშია, ტემპი თავბრუდამხვევი, ილეთები მრავალფეროვანი, კოკა, იუკო, ჩვენს გარშემო იაპონელები გაფითრებულნი სხედან.

და აი აქ კინაღამ ყველაფერი დამთავრდა. ძალზე კრიტიკულ სიტუაციაში დაიჭირა იაპონელმა ქართველი... „ყოჩაღ, როგორ დააღწია თავი" — ვერ ფარავდა ემოციებს შემდეგ ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი.

გავიდა შეხვედრის ნახევარი. ზურაბი დიდი უპირატესობით იგებს და ვერავინ დავაფიქსირეთ, როგორ აღმოჩნდა იაპონელი ზურაბის თავს ზემოთ. ზვიადაურმა მეტოქე ჯერ დაატრიალა და შემდეგ გამეტებით დაანარცხა ტატამს — მართლაც რომ ბრწყინვალე გამარჯვება და მრავალრიცხოვანი აპლოდისმენტები. „პირველი გდება, ვაზარიდ რომ შეუფასეს ქართველს, უფრო იყო იპონად შესაფასებელი, ვიდრე ეს" — აზრი გაიყო სპეციალისტებში.



ფრედერიკ დემონფოკონმა ეს-ესაა ზურაბ ზვიადაურს სძლია

REUTERS

მესამე წრე. ისევ პარალელურად მიმდინარეობს მამრიკიშვილისა და ზვიადაურის ბრძოლები. ზურაბმა აკადემიურ სტილში, გროსმაისტერულად მოუგო პოლონელ პრჟემისლავ მატიაშეკს. გრიგოლის მოწინააღმდეგე კი ძალზე პერსპექტიული და სწრაფად მზარდი იტალიელი რობერტო მელონი იყო. ეს ის მელონია, გასული წლის მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში შორის მამრიკიშვილმა სუფთად რომ მოუგო.

აშკარად ჩანდა — იტალიელმაც და მისმა მწვრთნელებმაც წაგებიდან დასკვნები გააკეთეს — კარგად შეუსწავლიათ გრიგოლის სუსტი და ძლიერი მხარეები. ქუთაისელი ზედმეტ რისკზე მიდიოდა და სულ მალე ორ კოკას აგებდა. შემდეგ გააზრებულად დაიწყო მუშაობა ტატამზე. ვაზარი დაიმსახურა, მაგრამ მერე მოგების ფორსირება მოინდომა და კვლავ გაუმართლებელ რისკზე, არასაჭირო შეტევაზე გადავიდა. „როცა ამხელა უპირატესობით იგებ, რალას „ახტები", რალა შენ „ეტენები", შენ დისტანცია დაიჭირე, ის იძულებულია რაიმე ილონოს. სწორედ მაშინ მოვა შენი დრო" — კომენტარს უკეთებდა მამრიკიშვილის ჭიდაობას ძიუდოს ქართული სკოლის აღზრდილი, ამჟამად საბერძნეთში მოღვაწე ერთ-ერთი სპეციალისტი.

ყველაფერი ეს იოლად გასააზრებელი და შესასრულებელია ტატამს გარეთ, ან კიდევ ორთაბრძოლის შემდეგ. იქ კი, როცა ყველაფერს წამები წყვეტს, დიდ გამოცდილებასთან ერთად დიდი ნერვებია საჭირო. ამ ასპარეზობიდან რამდენიმე წუთში ასევე დიდი უპირატესობის პირობებში, ფავორიტის როლში მყოფმა ჰოლანდიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარკ ჰუზინგამ წააგო ალჟირელთან.

გრიგოლი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა ამ რანგის შეჯიბრებისათვის. რაც მთავარია, მისი ჭიდაობა პარიზში და მიუნხენში დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან — რამდენადაც უსახურად და უფერულად გამოიყურებოდა იგი საფრანგეთში, იმდენად თვითდაჯერებული და აქტიური იყო გერმანიაში. რაც მთავარია „ფიზიკაში" პრობლემები არ ჰქონია, ისევე როგორც სხვებსაც.

იმის იმედად დავრჩით, რომ როგორმე გრიგოლის მძლეველ იტალიელს იაპონელისთვის მოეგო, რათა ქართველს შეჯიბრების გაგრძელების საშუალება მისცემოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

ამასობაში ზურაბ ზვიადაური უკვე მეოთხე წრის მატჩზე კანადელ კიტ მორგანთან შესახვედრად გამოიძახეს. ეს ორთაბრძოლაც, ასაკის მიუხედავად, დიდებულად ჩაატარა ზურაბმა. „როგორ დგას ტატამზე, შეგშურდება პირდაპირ, ვერ დავიჯერებ, რომ იგი ჯერ მხოლოდ 20 წლისაა" — ვერ ფარავდა ზურაბის ჭიდაობით გამოწვეულ აღტაცებას რუსეთის ყველა დროის საუკეთესო ძიუდოისტი ნიკოლაი სოლოდუხინი. სამწუთნახევარში ზვიადაურმა კანადელი ბრინჯაოს მედლის მაძიებელთა რიცხვს შეუერთა.

სატურნირო ბადის ქვედა ნაწილიდან ზვიადაურის მოწინააღმდეგედ ნახევარფინალში, ყველასათვის მოულოდნელად ტუნისელი სკანდერ ჰაშიშა ამოვიდა. მოულოდნელად-მეთქი რომ ვამბობ, დამეთანხმებით — აქ ხომ უპირობო ლიდერად ზემოხსენებული ოლიმპიური ჩემპიონი მარკ ჰუზინგა მოიაზრებოდა. მის შემდეგ კი მისი მძლეველი გამოცდილი ალჟირელი ხალიდ მედაჰი. დრამატული აღმოჩნდა ზურაბ ზვიადაურისათვის ნახევარფინალური ორთაბრძოლა. ჯერ იყო და ტუნისელმა ძალიან კარგად იცოდა ქართველის ჭიდაობის მანერა — ზურაბი ხომ გასულ წელს სწორედ ტუნისში გახდა ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი. ამიტომ ჩვენებურს არც ერთი ილეთი არ გამოუვიდა. ეს იყო, რომ ტუნისელის გაფრთხილება აჰკიდა. ასე პოზიციურ ბრძოლაში მიდიოდა დრო. ტაბლოზე რჩება 1 წამი, მხოლოდ 1 წამი, რომელიც გამარჯვებას აშორებს ზურაბს. და ამ დროს მსაჯი მას აფრთხილებს. დრო ამოიწურა და საქმე ჰანტეიმდე მივიდა. სამივე მსაჯი ერთსულოვანია — გამარჯვება და ფინალში ბრძოლის უფლება ქართველს მიანიჭეს. სხვათა შორის, მაისში ევროპის პირველობაზე ფრანს შემთხვევაში დამატებითი დრო ინიშნებოდა. ეს წესი, როგორც გვითხრეს, გამოსაცდელ პერიოდშია და სულაც არაა გამორიცხული, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე შეცვლილი წესებით ჩატარდეს.

და აი ფინალის დროც მოვიდა. იგი ზუსტად 18.26 წუთზე დაიწყო და ოთხ წუთსა და 40 წამს გაგრძელდა. ამ დროისთვის ზურაბ ზვიადაური გამოცდილ და ტიტულოვან ფრანგთან, ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორ ფრედერიკ დემონფოკონთან შიდოსა და ჩუის აგებდა, თავის მხრივ ფრანგსაც ჰქონდა აკიდებული შიდო. ასე რომ იმედი მთლად დაკარგული არ იყო. ამ დროს ზურაბი მტკივნეულ ილეთზე მოჰყვა და ბრძოლა შეწყვიტა.

სიმართლე ითქვას, ზურაბს ფინალი არ გამოუვიდა. ან როგორ გამოუვიდოდა — იგი ტრავმირებული გავიდა საჭიდაოდ — ტუნისელთან ორთაბრძოლაში წელიც იტკინა და ნეკნიც დაიზიანა. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, სათუოც კი იყო მისი ტატამზე საერთოდ გასვლა. თავად ზურაბმა დაიჟინა.

ყოველ შემთხვევაში პირველივე ცდაზე მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ძალზე დიდი გამარჯვებაა როგორც სპორტსმენის, ისე მისი მწვრთნელისთვის. ზურაბის სახით საქართველოს ნაკრებს ძლიერი წევრი შეემატა, რომელიც სულ მალე მისი ერთ-ერთი ლიდერად უნდა იქცეს.

**შოთა ხაბარელი:** „ორივე დღის კმაყოფილი ვარ. რომ არა სპორტსმენთა ელემენტარული შეცდომა და მსაჯების გამაოგნებელი არაობიექტურობა, ივერი ჯიქურაულს მედალი უნდა ჰქონდეს. ალექსი დავითაშვილმაც კარგად იჭიდავა.

ზურაბ ზვიადაური ახალგაზრდა ბიჭია, შრომისმოყვარე, ნიჭიერი. თავისი სახე და ხასიათი უჩვენა მსოფლიოს. მოუგო ძალზე ძლიერ და გამოცდილ ძიუდოისტებს. ფინალურ ორთაბრძოლას მხედველობაში ნუ მიიღებთ — ის სერიოზულადაა ტრავმირებული და რას ნიშნავს ნეკნის დაზიანება, ზედმეტი ახსნა არ სჭირდება. გრიგოლ მამრიკიშვილმაც ძალზე კარგად იჭიდავა. შესანიშნავად გაიარა ორი წრე, რომ არა გამოუცდელობა, მას მედალზე მუშაობა აშკარად შეეძლო. ხომ გახსოვთ, იგებდა და წამებიღა რჩებოდა, რომ წააგო. საერთოდ სპორტსმენები კარგად არიან მომზადებულნი. სუნთქვა, გამძლეობა, განწყობილება — კარგია. დღეს ორი მედალი უნდა ყოფილიყო. დავჯერდეთ ერთს ჯერჯერობით."

ახლა კი თავად მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს მოვუსმინოთ, რომელიც სკამიდან ძლივს წამოდგა, ოდნავ მოგვიანებით კი მხოლოდ მწვრთნელის დახმარებით გაემართა დაჯილდოების ცერემონიალზე.

**— ვისთან გაგიჭირდა ყველაზე მეტად?**

— ფაქტობრივად არავისთან. შედარებით მაინც ტუნისელთან, ძალიან უხეშობდა და ფიზიკურადაც ძლიერი იყო. ეს ტრავმებიც მასთან მივიღე.

**— აპირებდი ფინალში ჭიდაობაზე ტრავმის გამო უარის თქმას?**

— არა. ეს არ მიფიქრია და სხვასაც რომ მოეთხოვა, მე თვითონ არ დავუშვებდი.

**— დღეს შენს წინ ძიუდოს მსოფლიო ელიტა იყო. მომავალში რომელ კომპონენტზე გმართებს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა?**

— ფიზიკურ მომზადებაზე. ბოლო წუთებზე თავად ვგრძნობდი, რომ ისე ვერ ვიყავი. ვიცი, რომ ბევრი მაქვს სამუშაო, როგორც ტექნიკაზე, ისე ტაქტიკაზე.

**— შეადარე ერთმანეთს ზურაბ ზვიადაური პარიზში და მიუნხენში.**

— ცა და დედამიწა. იქ სხვა ზვიადაური იყო.

**— ვის მიუძღვნი ვერცხლის მედალს?**

— აბა რა ვიცი, ყველას, მთელ საქართველოს, ჩემს ახლობლებს, მწვრთნელებს, მეგობრებს.



კორეელი ჩო ინ ჩული ესტონელ ალექსეი ბუდოლინს ამარცხებს

REUTERS

**ვაჟები**

90 კგ: 1. ფრედერიკ დემონფოკონი (საფრანგეთი); 2. ზურაბ ზვიადაური (საქართველო); 3. რასულ სალიმოვი (აზერბაიჯანი) და იუნ დონგ სიკი (კორეა)

81 კგ: 1. ჩო ინ ჩული (კორეა); 2. ალექსეი ბუდოლინი (ესტონეთი); 3. სერგეი აშვანდენი (შვეიცარია) და ელხან რაჯაბლი (აზერბაიჯანი)

**ქალები**

70 კგ: 1. მასაე უენო (იაპონია); 2. კეიტ ჰაუი (დიდი ბრიტანეთი); 3. ულა ვერბრუკი (ბელგია) და რიგლა ლეიენი (კუბა)

63 კგ: 1. გელა ვანდეკავეი (ბელგია); 2. სარა ალვარესი (ესპანეთი); 3. აიუმი ტანიმოტო (იაპონია) და ანაისის ერნანდესი (კუბა)

ჭადრაკი

ბილის ტურნირი

# ბილში ზავი ჩამოვარდა

**საფუძისმა** სიცხარემ გაუარა ბილის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს. ჯერ იყო მხოლოდ ერთი ყაიმი ორ ტურში, მესამეში — ორი ზავი, გუშინწინ კი ყველა პარტია მშვიდობით მორჩა, ორგან — სწრაფი მშვიდობით.

მთავარ ინტერესს პიოტრ სვიდლერის და ვიქტორ კორჩნოის პარტია წარმოადგენდა, რომლებიც პირველ-მეორე ადგილებზე მიდიან. არაფერიც არ მომხდარა. ერთი ის იყო, რომ კორჩნოის შავი პაიკები მეფის ფრთაზე წამოიქაჩნენ, მაგრამ ეს ყველაფერი საყაიმო თეორიულ კალაპოტში მიედინებოდა და 20 სვლაში ყაიმი გაფორმდა.

ასევე კარგად დაზუთხული სადებიუტო სქემები გაითამაშეს ჟოელ ლოტიემ და ბორის გელფანდმა. აქაც ჯობდა, სვლები საერთოდ არ გაკეთებულიყო, რადგან 20-20 წყნარი გადაადგილების შემდეგ მეტოქეებმა ზავი შეკრეს და ერთადერთი ნათელი წერტილი მთელ ტურში ალექსანდრ გრიშჩუკისა და იანიკ პელეტიეს დაფა გახლდათ, რადგან მასზე შესრულებული 61 სვლის მეტი წილი უაღრესად ფერხორციანი და სასიამოვნო საყურებელი გამოდგა. გრიშჩუკს სასტარტო ფიასკოს შემდეგ თვითრეაბილიტაცია სურდა, პელეტიეს — იმის დამტკიცება, რომ დაბალი რეიტინგი ტყუილად აქვს და რაღაცეები შეუძლია. გათამაშდა ფრანგული დაცვის ის ვარიანტი, რომელშიც თეთრები ცენტრს კეტავენ და შავებს მასზე ლაზიერის ფრთიდან მიაქვთ იერიში. გრიშჩუკს დებიუტში ორი პაიკი განუმხოლოვდა, რაც პოზიციური მინუსი იყო, მაგრამ ნელნელა თეთრებმა გადაიწიეს მეფის ფრთისკენ (შავი მეფე იქ იყო) და ორპაიკიანი ფორა შეიქმნეს, ხოლო გრიშჩუკის ორი კუ მეტად სახიფათოდ შევიდა შავების ბანაკში.

შვეიცარიელი არ დაიბნა. გახსნილი თამაში მიდიოდა, სადაც შანსის პოვნა უფრო შეიძლება და პელეტიემაც განახორციელა ერთი მოქნილი დარტყმა, გასცა ხარისხი, მერე დაიბრუნა და ენდშპილში ზედმეტი პაიკით გადავიდა. ახლა უკვე გრიშჩუკის წვალების დრო დადგა, მაგრამ რუსის ეტლმა შეძლო სიტუაციის მართვა. პელეტიემ მოკლა ერთი თეთრი პაიკიც, სამაგიეროდ, მის მეფეს საძრავი წაერთვა და შვეიცარიელი ზავს დაჰყაბულდა (იხილეთ დიაგრამა).

ტურნირი ორ წრიან მიმდინარეობს. 6 ტური კიდევ სათამაშოა.

**დავით გულუა**

**ვითარება 4 ტურის შემდეგ**

1. სვიდლერი 3; 2. კორჩნოი 2,5; 3-4. პელეტიე, გელფანდი 2; 5. ლოტიე 1,5; 6. გრიშჩუკი 1



რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ახლა კი ჩემპიონები

იტალიის წყალბურთელ ქალთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა და ფუკუოკას წყალშიც ჩაასველა ოქროს მედლები. აქვე ითქვას და ერთი თვის წინათ იტალიელებმა ევროპის ჩემპიონობა ბუდაპეშტში უნგრელებს დაუტოვეს. გუშინ კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რევანში აიღეს და 7:3 დაამარცხეს მადიარი ქალები.



REUTERS ფუკუოკიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ფუკუოკიდან

# რა თქმა უნდა

ავსტრალიელები რომ წყალში გადაეშვებიან, თითქოს სადაო და გასარჩევიც აღარაფერია. ფუკუოკაში, 4X200-ზე ესტაფეტაში, რა თქმა უნდა, მათ იმარჯვეს და რა თქმა უნდა, მსოფლიოს რეკორდით. ავსტრალიურმა ოთხეულმა შვიდი წუთი და 04,66 წამი მოანდომა გამარჯვებას და 2,39 წამით გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი. შედეგად კი, ოთხეული ზეიმობს: მაიკლ კლიმი, იან ტორპი, ბილ კირბი და გრანტ ჰეკეტი ხარობენ, ჩემპიონები ვართო, იან ტორპისთვის კი ეს ოქროს მედალი მეხუთეა, რაც ფუკუოკაში ჩამოვიდა.

# ჯეკი ჩანის სანახავად

ჰოლივუდში ჯეკი ჩანის ახალი ფილმის პრემიერაა. „პიკის საათი-2" იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ ებრძვის ორი პოლიციელი ჰონკონგში, ლოს ანჯელესსა და ლას ვეგასში დაუნდობელ ჩინურ მაფიას. ფილმში თავად ჩანთან ერთად კრის ტაკერიც თამაშობს. პრემიერას კი დიდი კინომოყვარული და ახლებურ კინოდარბაზთა მფლობელი მეჯიქ ჯონსონიც ესწრება მეუღლე კუკისთან ერთად.



REUTERS ჰოლივუდიდან



REUTERS ბანგკოკიდან

# ბექემის ფსკერი

სინგაპურიდან ტაილანდს გადადის აზიაში ტურნეზე მყოფი „მანჩესტერ იუნაიტედის" გუნდი. 29 ივლისს „მანჩესტერი" ტაილანდის ეროვნული ნაკრებს შეხვდება და, რა თქმა უნდა, დაამარცხებს. დედამიწის ამ კიდეზე დევიდ ბექემი ღმერთადაა გამოცხადებული და გასაკვირიც არაა, რომ სასტუმროს მოახლე გოგონა ვარდის ფურცლებით რთავს იმ ნომრის აბაზანის ფსკერს, რომელშიც ბანგკოკში ჩასვლისას იცხოვრებს დევიდ ბექემი.

# პირველად ჰოკენჰაიმზე

კვირას ჰოკენჰაიმზე გერმანიის დიდი პრიზი თამაშდება მეფორმულეთა შორის. კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია, რომელიც ამ სეზონში იქცა მეფორმულედ, პირველადაა ჰოკენჰაიმზე და ტრასას თავის გელფრენდთან, კონისთან ერთად ათვალიერებს. უხასიათობა არც ერთს ეტყობა, არც მეორეს. ვნახოთ, ვნახოთ...



REUTERS მანჰეიმიდან


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტო-რეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge